

1939



# ანალიზი

2

---

ავტორი


1939



# მნიშვნელობა

სრულიად საქართველოს სამსახურის  
კვაშიძის კონფერენციაზე  
სამსახურის და სამსახურის  
მეცნიერობის მინისტრის  
მიერნიკლი

ვილავა მეცნიერებები



2



නිවාසයටුව:

උපාලින, මහිජලීය 13,  
සුදුරාලා මධ්‍යමය  
අ. 3.71-84

වැනිගිරිය:

උපාලින, යාරෝගය ඩ. № 7  
සෑයුලුගම  
ඩෙරිනුදුපුද්‍රකරි

ප/වක. නිවාසත්තුව — අලංක පාඨාච්චය

ප/වක. මදිවාන — දැනුවත පාඨාතිවාන

පාඨ. ග්‍රැන්ට. 17/II — 39; තේල්ම. රාජාඩ. — 8/III — 39 ඩ.  
සුයු. № 438. මිනුවල. ආස්ථ. № 2002. උතු. 5,000.

සෑයුලුගමීස පොලිග්‍රැෆුරුම්බින්සාරිස, ප්‍රාග්‍රැස්ස් ඩ. № 5.



გიორგი ჩაისავილი

## აღორძინებული საქართველო

ორდენისან საქართველოს სახელი  
ზღვიდან-ზღვამდე  
ზეირთაყრილი გრიალებს;  
ხუთწლედების  
ძლევის გამომსახველი  
ბრძოლის დროშა  
ბრილ მყინვარზე ფრიალებს!  
გოლიათერ,  
გმირული დამკურელობით  
ინდუსტრიის  
გოგანტები მღერიან;  
ბრძენ ბელადის  
ნაცალ ხელმძღვანელობით  
წინ მიგვიძლვის  
მუხლმაგარი ბერია!  
გაყაფებულ  
გამძლე გამბედაობით  
გაუგალი  
ჭაობები შრებიან,  
ვრცელ კოლხეთის  
ზღვის და მზის ბურთაობით  
ნარინჯ ზილთა  
ბალნარები ჩნდებიან!  
იქ, შორეულ  
სოფლის ყრუ ხვეულებშიც,  
ლენინიზმის  
ნაპერწკლები ღვივიან;  
ქვეყნად აღვიდ  
მუცლეფელთა მამულებში  
გშრომელების  
მშრალ კოლექტივია!



ମତା-ସ୍ଵାନ୍ତ୍ରତଥିପୁ,  
 ସାଧାପୁ ଯୁଗ ଉଚ୍ଚରି,  
 ସାଧାପୁ ମନୋଲୋକ  
 ମିହିମାତ୍ରିପ ମୈହିମା, —  
 କାଶ୍ଚୀପିଲୁ ଅନ୍ତେକି  
 ଉତ୍ସାହଶୁରୀ ଘୁମଶୁନିତ  
 ଦା କାନ୍ତପ୍ରେରିତି  
 ବେଳିଲୁ ବୁଝି ହାତିଲାଦାନ!  
 ଦଲେଖ ତମିଲିସିପୁ,  
 କ୍ରେଦିମାଲାଲି,  
 ମ୍ରିଷ୍ଟବାହ୍ୟ,  
 ଲୁହାପି,  
 ଦୀର୍ଘବ୍ୟାପୁ  
 କାରିଶ୍ମଲାଦାନ ଶଲପାଶାଙ୍କିତ  
 ଦା ଶାତ୍ରେକି,  
 ଶ୍ରୀପଦିପାଦୁ ହନ୍ତ ଅମ୍ରିଷ୍ଟବାହ୍ୟକି,  
 ଦାଗପ୍ରକାତ୍ୟାତ୍ୟକି  
 ପାରିଶକ୍ତିଲାଗିବାନ ପାଶାଙ୍କିତ  
 ତାଙ୍କିଶୁଭାଲ  
 ଶରୀରିକି ଗାମିମିଶାନ୍ତ୍ରେଲି  
 ମିଲିଷ୍ଟ୍ରେବାତା  
 ଫରିଶ୍ରେଦି ହନ୍ତ ଫରିବାଲୁକି,  
 ମରମାତାତ୍ରେଶାପୁ  
 ଗାନ୍ଧା ତ୍ୱରାଲି ଅମ୍ବେଲି,  
 ପରିଷାପୁ ବେଳିତ  
 ନିନ୍ଦାପରିଶରିକି ଗରିବାଲି!



## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

იყო თებერვალი მცდამ ჩაგრძლია:  
ჩია, პატარა...

ქარიშხლიან დღეთა მნახელიც-  
მზისკენ იღტოდა, მაინც იყო თოვლზე დაქრძლი,  
მაინც მწუხარე და მოსილი ზამთრის სახელით.  
მაგრამ მოვიდა ოცდაერთი წლის თებერვალი,  
დღეებს მიეცა ვაჟაცური ხმა და იერი...  
გმირთა ყიფიზე საქართველო, მზის მომღერალი,  
წამოდგა ფეხზე და გაშალა დროშა ძლიერი.  
დაიძრა აისხვით ხალხი ბრძენი, ხალხი უკვდავი,  
ვაჟაცი ვაჟაცა აედევნა, გაპუვა ქაღარაც  
და იმ გრიგოლმა დასცა ყველა სულთამხუთავი,  
მიღეწმოლეწა ხუნდები და ზღვაში ჩაყარა.  
თავისუფლებიმ იწყო ქოლვა ვზებზე გრიალით,  
აგვაფრთხოეანა ეზოებში მისმა შემოსელამ  
და თებერვალიც, დღენაკლული და ნალელიანი,  
მან ძლიერების და დიდების შექმნა. შემოსა.  
შემღევ დაიწყო სიყვარულმა გასხივოსწება,  
ქუჩებს მოქსნა სიმარიბის შევი მანდილი,  
ვატება სიცოცხლე, აღაედავდა ეშიოთ ცხოვრება  
და მიწა ვახდა სიმართლისთვის წმინდა აღვილი.  
ქარიბ, მამლერებს თებერვალი ნათელ ვზიანი,  
ვით ვათენება და ფანჯრებთან შექის დაცემა,  
ჩოგორუ თქტომბრის ბრწყინვალების თანაზიარი,  
ჩვენი მარადი ვაშაფხული და აღტაცება!



ප්‍රංගීතාන්තික පාඨමාලාව

ლილოსტატის კონსერვაციის გარჯვენა

ଶ୍ରୀକର୍ଣ୍ଣପାତ୍ରାବଦୀ ଶ୍ରୀମିଶ୍ରମ ୧

XXVII

ରୋଗ ମେଜ୍‌ଜେମ ନିଳିତ ଶ୍ୟାଲୁହା ଫିସରି, ଗାନ୍ଧୀପ୍ରେଷ୍ଟୁଲି ମିଳିଶ୍ରେଣ୍ଡା ଗନ୍ଧି-ଶ୍ୟାଲୁହା.

"ՈՐ, ՑՈՒՄԴՅՈ, ՍՐԾՆԱՌԱՋ ԹԱՅՆԵՐԸ ԵԼՆ-ՔԱՅԱՄԻՆ, ՍԵՐՈՎՀԵՋ ԵՎՐԵՅ ԹՎԻՇԱՑ-  
ՀՅԵՐԻ ՏՎԵՐՆԵՐԸ ԽԱԼՈՎԵԼՆ. ԹԻՇԱՑԻ ԺԲԱ ԿԱՅՆԱՋՄԱՆ ԽԵՆ-Ե-Ա-Ա-Ե-Ե-Ե-

„სარეკინოშებთან თმებში ეხმარებოდა მამაქანი კეისარის, დიაკონა მთავარი იყო ბაგრატ კუროპალატი ფურშე, ვინ იცის, ეგებ ზალიფის დღისას გადასწუდა საღმე.“

კირსელმა გაილიშა.

„დამავიწყდა შენთვის მეამბნა: სწორედ იმ ღამეს, როცა გულიამები დაეხოცეთ, ხალიფი ალ-ჰაქიმი სასეირნოდ წისულა და უკვალოდ დაკარგულა თურქმე.“

კიორგი გაოცელა და გირშემომა დასძინა:

„ଏସେ ହୁଅ ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀଗୋପଲ୍ଲୀଙ୍କ, ବ୍ୟାକ୍ରିମନଟ୍ସର୍କରୀଙ୍କ ଦିନେରଙ୍ଗାତ୍ର ଗାମିନାକୁଠାରୀ ତାପ୍ରେ. “  
ଏସେବାରେ ଏହାରେ ଏହାରେ ଏହାରେ

„ღმერთი აზ გავიწყება, გირშელ, არავისთან წამოვცდეს, თორემ ამასაც მკრეხელობად ჩამომართების კათალი წარი.“

შესლუნენ მკიორე ხანს.

მოველავდა გაშმაგებული მდინარე. სოჭის ძელები მოპქონდა, ყინულის ხორვები და დამხრჩევალი ქვერები.

Շըլլօնանի յամբերձո մոցրաւնա Ռյալս. տապատակը մռութիւննատ ծըլֆազքն մեղուաւ, Տավալուամբլաւ պարուսանցքներն, ճամփորհասպան ուշինչքներն.

იძალებდა ორთავის ერთი, ზეაისროდა თავის კერძ უდელს, დასძი-  
რავდა მეორეს შეყავში.

მოპერანდა დაუღლებულის. არავეს, მორიგეობით ყვინთავობდნენ შედ-  
ჟარი.

„ასე ვადაპერებს ხანდახან ირ ფაქს ურთ ულოკომის ბოთ“

<sup>1</sup> ob. „Збогодѣо“ № 1



ესა სოქვა გიორგიმ და გირშელმა მოუდო:  
„ო ქრის დაახრჩობს, ან მეორეს ბოლოს.“  
„შესაძლოა, ორივენი მთაშოოს ქრთად.“

ვიღაც ვაეყები გაშიშვლულნენ რიყეზე, ცურეით გაეყიდეთ მისამართა  
ლებულ პირუტყვებს.

„სიყრმეში მე და შენაც გადაეკილახავს ასეთ დროს არაგვი, მიწი  
ხარ და ახლა გადასცურიდ.“

უფრინება გირშელი მამიდაშვილს.

ვიორგის გაახსენდა მუდმივი ჯიბრი სიყრმის მეცობართან.

„რატომაც არა, შენ თუ მტკვარი გადასცურე გუშინწინ, ნუთუ მე  
არაგვს ვერ მოვერევი?“

„უნდა გითხრა, მტკვარი არ ყოფილა ასე მოდიდებული იმ ღამეს.“

მცარე ხნის შემდეგ ამბობს:

„ჩევნ არივეს გვაჯობნიდა ერთი მდაბიორი.“

„რომელი?..

„დროიძე?...“

„არა, გაბოი, ვეონებ, რა ვეარი იყო გამოი?“

„კოტრიქისძე გაბოი, მის სახლში მიედიდარ სწორედ.“

ესა სოქვა ვიორგიმ, არაგვს მინხედა კულაც. კამერებს მისწევოდნენ  
ბიჭები, გაქარდა, რაღვენ კამერები უყვარდა ვიორგის.

მუდამ უკვირდა: რად ყროყინებსო ასე ნალვლიანად ეგზომ ძლიერი  
ქოველი?

ახლაც ეს უთხრა მეცობარს.

„შენ რა გვონია, — ამბობს გირშელი, — ძლიერს უფრო მეტად უჭირს  
ამ ქვეუნად.“

მიტომაც მუდამ დალრენილნი დადიან ლომები, ვეფხები და ავაზები,  
ხოლო თრითინები, თავები და ციყვები, მუდამ მხიარულად დაცუნცე-  
ლომენ.

არაბეთში მომისმენია ლომების ბუხუნი. ვამოდგებიან უდაბნოში,  
შემზარებულ ვრგვინავენ, ამზრუნვინია მათი უცნაური გლოვა.“

მდუმარედ მიქვეცოდნენ არივენი ნაპირს.

გირშელი ბანიან სახლს მიაჩერდა ერთი.

— გახსოვ, ვიორგი, მზრდელს რომ ვავეპარეთ კეირაცხოვლობას,  
ვიღაც ლოთებმა ღვინო გვასვეს, აგვივევიატა ერთი კუზიანი ე, იმ სახლის  
სარდაფში ჩაგვიყვანა მეძავებთან.

ვამოგვიდგნენ ვარმავი კაცები, თქვენ რა გინდათო მეძავებთან, ლლა-  
ჰებო?

დაგვიცაცხანეს, დარცხვენილნი გამოვიპარეთ.“

ვიორგის გულანად ვაეცინა ამის გამონეს.

იმ სახლის ბანზე ახლაც ისხდნენ ქალები.

ვადასკუროლნენ მოზღვავებულ არაგვს.

ვიღაც ვაეუბს ბადე ამოპქონდათ ჭულიდან.

კიორვი და გირშელი გადადვნენ ქბოდეზე.

ბადე გაშალა მებალურმა თუ არა, ორაგულები, ცომორები და / კალ-  
მაქები ცცეცდნენ ჩიყეზე.

გირშელი ათეალიერებდა გზადაგზა ქუჩებს, უთჭოდათ უძრულებას უბა-  
ლებსა და ბანებს.

ზედიშედ ივნინებდა სიყრმეს.

მამლების, ვერძების ბრძოლას, ბერიკობასა და ჭონას. მთვარით ღა-  
მეში სასახლიდან გაპარვას, მზრდელის ბუზლუნსა და არაგვეში თევ-  
ზაბაბას.

ოჩხის ამოლების, ჩანკლების სროლას, თოვლის გოდოლების ავებას  
და შემუსტებას მათსას.

მ საუბარში გართიულნი მოსულიყვნენ მთავართა სანათლოს უბანში.

როცა ხურსისეულ სასახლემდის მიაღწიეს, გირშელი ყმაწვილივით  
ატყდა: მაინც მდაბიორებს ვვივართ, სასახლის ეზოში შევიქვირით.  
ფხოველი დიაკები დაელანდოთ შორიდან მაინც.

გიორგიც გააყმაწვილა სიყრმის ტებილმა მოგონებებმა, თავათაც ეწა-  
და სერთი რამ მოემოქმედნა, მაგრამ ეს არ უნდოდა გირშელის თანხლე-  
ბით ეწნა.

სტუმარი მაინც არ იშლიდა თავისას. თეალმოკერით მაინც ცნახოვო  
შორინება.

გიორგი დაფიქრდა: ვაი თუ სხვა ჩიგად ახსნასო. ხურსისეულ სასახ-  
ლის ბაღში შეიყვანა გირშელი.

თვანშე ბნელოდა.

გულით უნდოდა არავინ დახვედროდათ შინ.

ძალები აყეფდნენ ანაზღად.

ფხოველი დიაკი გამოევება ხილნარში შესულებს, ტანმორჩილი, ნა-  
ცვავილევი.

„მწერები მშეიღობისა“ შეაგება სტუმრებს.

შორინება იყითხეს.

დიაკი შექმრთა.

ათანასე ბერმა წილებანთ სალოცავად ზედაზენს შორინება და მთახ-  
ლები მისი. გარდისახარი და დარჩა შინ. ჩაეგ შეუძლოდ იყო იმ დღეს. გარდისახარს კუტმობო, თუ გნებავთ.

ამას ამბობდა ჩილურა დიაკი.

გარდისახარის ნახვა არავის ეწადა, ამიტომაც გაბრუნდნენ ანაზღად.

ფხოველი დიაკი არ მოეშეა: რომელი სოფლისანი სართ, ან ეს გვარ-  
ჭეით, რად იყითხეთ პატრონი ჩვენი?

კლარჯევთელი მწირები ვართო, კოლონკელიძის ნაცნობნი ძეელნი.

მაშ მოიცადეთ, საღაცა მოვლენო, ემუდარა ფხოველი დიაკი.

მცირე წნის შემდევ გამოვივლითო კვლავ, დაუბარა გიორგიშ, ჰუ-  
ჩიბანდისეუნ გადაუხვიდის.

როცა სამეფო საჯინიბოს ჩაუარეს, გირშელმა აიჩინა: შენი კარგის  
ჭება გამიგდა, მაჩვენეო ახლა.

თავლაში შესვლისთანვე ეცათ ის სუნი, რომელიც ეცნობოდა მაყვა-  
რულო არა სამაგო ხოლმე.

პატრიონის დანახვაზე კიხვინი მორთეს საომარმა ცხენებმა.  
გორგის განუზომელად უყვარდა ისინი. ჭირითამოშენი მრავალთა,  
მრავალი ომის თანაზიარნი.

ეს ცხენებიც ისევე დაჩეხილნი იყვნენ, როგორც მათი პატრიონის ჯე-  
რაც ახალგაზრდა სხეული.

სუმრიბით იტყოდა ხოლმე გორგი:

„ეს კარგი, ჩენ კაცი რომ ეხოცავთ ურთიერთს, მაგრამ ამ საცოდაც  
პატრიონის რას ევმართლებით ნეტავ?“

სათოთაოდ მიეხალა თითოეულს. ეფურებოდა, ყურებზე, საოლავებზე  
ჭელს უსვამდა, თვალებს უკოციდა, საალერს სახელებს ეუბნებოდა  
სათოთოოდ.

ეს მშენები, ერთგული ცხოველებიც იფერებდნენ ალერს, ხეიხე-  
ნებდნენ, ფრუტუნებდნენ, ალერსიანად თავს უქნედნენ პატრიონს.

სტუმარს ეუბნება გორგი:

„შენ გეტყე, გირშელ, ხეალ რომ ტახტიდან გადამაგდოთ ერთიან-  
ვებმა, მეჯინიბედ დავდგები უთუოდ. ცხენებს მოეუფლი და ეს მომგვრის  
მე უდიდესს ბეღძიერებას.“

აღტაცებული შესცეკროდა კველის ციხის პატრიონი ნაომარ იაბობს,  
მკერდდაჩეხილ ულაყებს, არაბულ კვაცებს და თეჭურ ჰაკებს.

სიყრმის მეგობარს მოებრუნდა:

„იცი, გიორგი, ომში ცხენები მეცოდება კველაზე შეტად, მრავალ-  
ვზის მინატრია: ოლონდ ცხენს წე მომიკლავენ ბრძოლაში და მე მზადა  
ვარ თავათ შეეფურიო მტრის ისაჩის მკერდი.

როცა ქაჩაბურაისძე წარმტაცა მტკერმა, ცხენი შემეცოდა და, ამი-  
ტომიც არ დაეიზოდე თავი, მეჯინიბეს მიეუგდე ჩემი, მხარულოთ გავ-  
სდი მეაბჯრეს.“

საჯინიბოს ეზო გადაიარეს.

გაბოის სახლში ბეტტავდა ჭალი.

ეს იყო ჩეცულებრივი, სოფლური დარბაზი, უზარმაზარ დედაბოძ-  
ებს დაყრდნობილის სახეორავითა. ჩანხები ეყიდა სხენზე, მევარტლში ვა-  
მურული სრულდა.

დაფაცურდა გაბო.

შეუაცეცხლზე ჯაჭვი იყო ჩამოშეცებული. ზატი ეყიდა ზედ.

დიაცი კერას უჯდა.

ტრიალებდა ბატი, ძირს დადგმულ ტაფაზე ილკრებოდა ცხიმი.

ფრთხის აწობდა დიაცი ცმელში, უსვამდა ისევე ბატს.

სამური სუნი იღვა ქოჩში. ნერწყვი მოაღვათ გირშელსა და გიორგის.

ერთადერთი უცხოთაგანი დაუხვდათ მუნ, უნდოლასძე, ჯავახელი შეცხვარე.

„აბა თუ იცნოთ ჩემი სტუმარი?“

უცხნება სიყრმის მეცობრებს გიორგი.

ვერც გამრიცელმა, ვერც ქიტესამ და ველარც ესტარცმ ვირ იცვნეს სტუმარი.

მეფეს არ უნდოდა გირშელის ვინაობა შეეცნო მეცხვარეს, ამიტომაც უცხნება დამზღვდურთ:

„კარგი, დასხელით, ჯერ დაგვალეცინეთ ლვინო, მერმე გამცნობი ამ ვაკეცის საღატურობას.“

გამოი სხვენზე აძრია, სამწლიანი დუმა ჩამოილო.

უცხაური სიღატაკე სუფევდა ირგვლივ. ჯვალის ძონძები ეყიდა კედლებზე, დაფხრებული მუთაქები და დოშაკები ეყდო კუთხეში, სამი აკვანი იდგა საწოლის წინ. საწყალობლად ლნაოდნენ ბალლები.

უმწეოდ სტიროდა პატარა ბიჭუნა, მერმე სლოვინი აუგარდა, ხელა დააწყებინა. ყვინწილასავით ყიოდა თანაც.

დიაკუბი სუფრის თაღარიგით იყენენ გართულნი, ბალლებისთვის არავის ცხელოდა.

გიორგი მიციდა, დაუყვავა, დაუყვავა პატარას.

საჩვენებელი თითო დაადო ნიჟაპზე.

უცხნება:

„ალალო, ალალი!“

დუმა ქებაბში ჩააგდეს, ლოქო მოართვეს სტუმრებს. ქინძის სუნი ეცა დამშეულ გირშელს, ტარესად გაუხელდა მაღა.

გიორგი თავათ მიუჯდა კერას. ფრთა გამოართვა დედაკაცს. თავათ აწობდა ცხამში, ჯაჭვზე დაკიდულ ბატს უსცამდა ნელნელა.

„რამდენი შეილი გაავს, ქალო?“

ეყიოხება გიორგი დიაც.

„მენა? მენა, ორი.“

„ტყუპები?“

„ტყუპები.“

მიუგო დარცხვენით დიაცმა.

„გავიზარდოს, გავიზარდოს, ქალო.“

ისევ ჩააწო გიორგიმ ტაფაში ფრთა, ბატს წისცხო კვლავ და ეყიოხება დიაცს:

„ეს მექამე ვისია, ქალო?“

„ჩემი დაი სტუმრადა ჩვენსას, იმისია ი პატარაი, ყივანა ხელა შეეყარა ბედშივსა.“

გირშელი ზარბად სჭამდა ლოქოს. ესტატეს სავსე ხელადები მოაქონდა ჭურიდან.

„ერთ ძმაკაცან ვიყავი საღილად დღეს, მშიერი დამტოვა მავ ოჯახ-ქორმა.“

ესა სოქეა გირშელმა, ლავაში დაახვია ნიჩაბისებრ ხელით, უცნები ჩაწინ და ჩიტოლუჯა პირზი.

ღვინო მოსწყურდა სეელი ხელადების დანახვისას გიორგის, გიორგის გა მორიგი ჯამი გადასცა ესტატეს.

ეუბნება:

„ჩვენი გლახუნა ვადლეგრძელოთ ამ ჯამით.“  
ვიორგიმ საშერი გამოართვა შეგობარს. ზეასწია და ამბობს:

„ჯერ ჩემი სტუმარი მიდლეგრძელეთ, იკუნკელისძე.“

გირშელმა ვაიღომა და ორ სოქეა რა.

„ვგ კაცი ცოლის შესართავადაა მცხეთას ჩამოსული, ადიდებული მტკვარი გადაულახავს.

ვაკეკაცა წესია ასეთი: გულის მიჯნურისთვის არ დარიდება საფრთხისა.“

ვლახუნამ თვალი მოავლო მიწურს, რა დარწმუნდა, დიაცები გაქრებილანო:

„არა, ვატყუებო, ბიჭებო, მას ერთი სიძვის ღიაცი ჰყავს მცხეთაში, ამადაც გაუწირავს თავი.“

ვაბრიელმა შენიშნა: ვლახუნა ეჯიბრებოდა ღვინის სმაში უცხოს. ამიტომაც უჩერტებულა ესტატეს:

კოტა არაუგ ჩაუსხიო მავ ვოლიათს ყანწის, თორემ დაგვათრობსო კველას.

ვიორგის მოუბრუნდა შემდგომ ამისა:

„საქმელს მიეძალე, ვლახუნა, თორემ ეგ ღვინო მატყუარაა, იცოდე.“

ვლახუნამ ბარკალი ავლიჯა ბატს. გირშელი უსმოდ ილუკმებოდა, ნალირისებრი კბილებით გლეჯდა ხორცი, ძვლებს ხრავდა, ილოცავდა ცხიმში ამოსეკრილ ხელებს.

მაღინად შეექცეოდნენ მდაბიორებიც. ამათ შემცურეს ვლახუნასაც მოეცა მაღა.

როცა მეინახეთა და ოჯახის წევრთა სადლეგრძელოები ჩამოთავდა, უნდილაისძეს გადახედა ვიორგიმ, რა დარწმუნდა, აღარ არისო იგი უკვი ამ სოფელს, მოზერის ყანწი ზეასწია და ამბობს:

„ერთი სადლეგრძელო მეც მათქმევინეთ, კაცნო. ხომ გახსოვთ სიყრმის შეგობარი ჩვენი, დღდა ჩემის ძმისწული — გირშელი.“

„როგორ არ გახსოვს, ვლახუნავ, ვეითევზავნია არაგვში მასთან.“

მიაძახეს სამთა.

„პო და... საჩკინოზებს გამოპეცევია, ყველის ციხეში ჩასულა აღდგომა დღეს.

ვადლეგრძელოთ, ბიჭებო. გირშელი.

გეხსოვნებათ, აღბათ, ღვინის სმაში გვეჯიბრებოდა ოდესლაც. აქა ვეყავდეს, უზრენებდლით სეირს.“

„პი, პი, აქა ვეყავდეს ნეტა!“

რობრონბს გაბოი.

ნადირისებრი ღოვები გამოაჩინა გირშელმა, ყანწი და და  
კრიტიკის დაუწყო ღრმნა. ერთ წუთში აელერა სახე, უცნაური რევენ  
შეიცნო, ჯამში ჩააგდო ცხიმიანი ხორცი.

გული აერია, მაგრამ თავი შეიკავა, ორივე მკლავის ჭიშკლის ხას  
მოქვიდა.

გაბრიელმა ჯიხვი გააცია კიდევმდის.

წესიამებრ ვადლებრძელოთ მეფე გიორგი.

ჩამიარა ჯიხვმაც უხმოდ ჭამას შეუდგნენ მეინახენი კვლავ.

ესტატემ ესა სთევა მხოლოდ:

„რასა სქეამს ნეტავ ი ბედმავ მეფე გიორგი ახლა?“

„სამი წლის დუმას შეეტევა ალბათ ჩვენსაცით, ირმის მწვადები გა-  
მოლეულამ სასახლეში თურმე“. გაიხუმრა უნდილაისძემ.

მეფე გიორგი მართლაც სქამდა სამი წლის დუმას იმ წუთში.

გაეცინა.

პეშვით მოიწმინდა ულვაშიდან ცხიმი.

გიორგის შეეშინდა, ჩემი ვრწაობა არ შეიცნოს მეცხვარემ.

წამუყო გაბრიელს:

კიდევ ატაკეო მონცვრის ყანწი უნდილაისძეს.

კიდევმდის გააცია თამადამ ყანწი.

შენი ცოლშეილის სადლებრძელოსა ვსვამთო.

წელი მოსტეხა მუხრანულმა ჯავახელს. თავი ჩაჰკიდა და დაიწყო  
თვლება.

გირშელსაც ძლიერ მოკიდა ღვინო. როგორც ყველაფერში, სმაშიაც  
უჯიბრებოდა თავის ნათესავს.

გამწედ სეამდა თავათ, გიორგის მიერ დაცლილ ყანწებსა და ჯამებს  
უთვალთვალებდა თანაც.

„ჩემთან ჯიხრი გადავიტანს, იუნკელისძევ“.

მიაძახა გლახუნამ, სულმოუთქმელად გამოსცალა უზარმაზარი ჯამი  
და ისევ გირშელს გადაულოცა.

გირშელმა მიამიტად შესკვინა.

„ქიტესა, ესტატე და გაბოა გაოცებულნი იყვნენ.

არიდეს ენახათ, ასე ხალისიანად რომ უსეა მეფეს.

გირშელმა თრობა შეიცნო უკვე.

აუხირდა გიორგის: დღეს ეს ვიქმაროთ, წამო, ხურსის სასახლეში შე-  
ვიკერიტოთ.

გიორგიმ იკოდა: სმა რომ შეეწყვიტათ, გირშელი უთურდ წაათევე-  
და ფხვეელი დიაცების სანახავად მიასაც. თავს ცერ შეიკავებდა სასძლოს  
დანახეაზე მოვრალი, მთელი ქვეყანა გაიგებდა ამ ამბავს.

ანიშნა გიორგიმ გაბრიელს: გაეგრძელებინა როვორმე სმა.

მიცეალებულთა შენდობანი მოთავდა.

ომებში დასოცილი მევობრები მოიგონეს.

ადგილის დედაც ადლეგრძელეს პოლონე.

წამოადგე ძველი მონადირე, ესტატე-

„ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამალ რაიგულს, აღმა რომ შეიყვება ამიღმ არავს, უფსკრულებში დაექცედეს თავის დედალის ქადაგურულად მიაჩვენდეს ტალღებს, რათა გუდამაყაჩი წამოეწონი ჟა შესწერდეს საჭარელო.“

კიონტების გულშე ეცა ეს საღლევრძელო.

კირშელი მოავონა ამ ორაგულმა ჩატომლაც.

ପରାମ୍ପରା ହିନ୍ଦୁମାତ୍ରା, ଶେଷରାମ ଲାଲଗୁଡ଼ୀ.

მოზერის ყანწერა ჩამოვარა კულავ. გირშელს სასმური ჩამოვართვა გი-  
ორგომ, კრის თხისილზე დააპირებეთ.

ପ୍ରକାଶ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛାମଣିଜୀବି.

„ეს ღმერთშა გაუმარჯვოს იმ ფურირებმს, რომელიც საჩექში ჰყავს და წყველეული მეცე გომირვის, მყინვალობის დრო მოდგება თუ არა, ამ- ღავლება და ეძინის გულის სწორს.“

გირშელს ნებირა გაახსენა ამ საღლევრძელომ, ხოლო ნებირამ — შერჩნა. მთარჩე დაუყრდნო თავის ნათესავს და უჩურჩეოდა:

თუ შენ არ წიმოსვეალ ეხლავი, მე წავალ და ვინახულებო ფხოველ  
დიაკონის.

იმპორტულობა გულშე წაეკიდა ვიორგის.

კულტურული მარტინი; წამოვალო ეხლავე-

ରୂପା ସତ୍ଯନାଥ, ଜିନ୍ଦଗି ହାତୁମାଣ ଫିଲେମିଲୋସ.

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ ରାଜା ଅଧିକାରୀ:

„ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ხარისხემს, რომელიც საფუძვლებს ტყე-ში დასდევდეს ამ წუთში თავის ფურს და სხვა ხარი თუ შეეზიარა, რე-ბით გამოიფარიდას მეტოქეს.“

ხარისხმის სადლეჭირელობი წავტცია გირშელი.

ଶୁଣି ଏହିକା ତ୍ୟ ଅଛି, ଦ୍ୱାରିନ୍ଦ୍ରାଜିତ, ମାତ୍ରାମି ପ୍ରକାଶ କିଳାରୀଙ୍କ ଗାଲାକାରୀ-  
ରୂ ଶ୍ରୀମତୀ ରା ରାଧାକିଷ୍ଣାରୂ ଲେଖାନ୍ତରେ ଲୁହାରୀରେ ଲୁହାରୀରେ.

ოთხმა გაეკატება ძლიერ გამოსახული ფარდულში. ჩალაზე და-  
მწევინეს, ნაბადი დაახურეს ზედ, მაგრამ გაბრიელის ნაბადი კვირისთვემ-  
დისაც არ მისწევდენია გოლიათს.

զորմանական գործությունների վեհականությունը պահպանվում է պատմական ժամանակաշրջանում:

კიონტები გამოსრუნდა და ეუბნება მეცნიერებს:

“କୁଳାଳ, ଶିଖିଗଲିଲା, ଏହି ପରମ୍ପରା କୀନି ଥାଇଗା?

ଜୀବନ ଶୈଳୀରେ, ଅଗର କ୍ଷେତ୍ରରେ ମୁହଁରେ ପାଇଲା

შე კაცი, დროშე ჩობ ვეტენა, ამ დავათრიობით ასე უდმიროდ აქმდება ნათელი გამო.

სამიერონი მიუვახლნენ გირშეცლს და გატაცკოცნეს შძინარე.

„ପ୍ରାଚୀନ, ଦୋଷେତ୍ତ, ମେଘନାଥୁମିଳନଦୀ ଏହି କାଳୀ, ମାଗରାହି ନାଶିଲ୍ଲେବେ ମେଘଲାନଙ୍ଗେ-  
ଶିଖିବା ପାଇଅଛି।“

ପାଇଁ କାହିଁବା ନାହିଁ.

შედე შედამებული იყო, როცა სტუმარი გამოაცილეს სამიზა  
საჯინიბოში გავიაროთო, მოისურვა გიორგიმ.

როცა შევ შეციდნენ, ოქროსფერი ულაყი შემიკაზმეო, ეუწინება გლა-  
ხნა გაბრიელს.

კოხრიკისძე გაშრა, მხრები აიჩინა.

რა დროს შეკაზმეაო ცხენისა?

უჩვეულოდ გაფიცხდა გლახუნა.

შეცე გიორგი გიბრძანებს: ანლავე შეპქაზმეო ცხენი.

ბუნლუნით დაითჩია უნაგირი გაბომ.

გაონებული შესცეკრიან ესტატე და ქიტესაც მეფეს.

ბუნებით მშეიღსა და თავაზიანს არ სჩვევოდა მინირი ჭირვეულობა.

ბოლოს ხნით უფროსმა მოიკრიბა მხნეობა. ქიტესა მიეჭრა და ეუბნე-  
ბა გიორგის:

უკეთე არ გვამცობ თუ სად მიდიხარ, შენს ნაბრძანისა არ შეეასრუ-  
ლებთო.

„ბევრს ნუ ლაყბობ, შენ გატავი, ესტატე, გაიქე, უშიშარაისე აქ  
მომგვარე ახლავე, ზედაშენს უნდა წავიდე ამაღა.“  
? ? ?

„არაგვი გაცოფებულია და ზედაზენს ამაღამ წასულა!?”

დაუჩიტა ჭალარა ქიტესამ.

„სამივენი დაგეხოცე თუ ვნებავს, არ გაგიშეებთ ზედაზენს ამაღამ.“

გაბრიელმა უნაგირი ძირს დასლო. ფერხთით დაუფარდა გაგულისე-  
ბულს.

ჩევნ გადავლახავთ შენს მაგივრად არაგვს, რასაც გვიბრძანებ, აგის-  
რულებთო ახლავე.

„არა, ჩემს მაგივრობას ვერ გამწევთ თქვენ.“

„მაშ ჩაც გენებოს, ისი ვვიყავი, არ შეგიყაზმავთ, გლახუნავ, ცხენს.“  
ესა სოქეა გაბომ და უნაგირი ყვლავ შეიტანა თავლაში.

დაუჩიტა ქიტესამ გიორგის, სიყრმის მევობრობა მოაგონა, ნუ დაად-  
გამო გაბოის პურმარილს ფეხს!

საქმე რა მისკირდა, დედის სული დააფიცა ბოლოს.

დედა უცყვარდა გიორგის ყველაზე მეტად ამ ქვეყნად. აქ კი მოტყდა  
უცნაურად გაჯიქებული.

„მაშ ჩამომეცალეთ სამივენი ახლავე, მარტოობა მომზატრებია.“

განაცხადა გლახუნამ მტკიცედ.

სამივენი გადაპჰოცნა მოერალმა.

„ბატონი ბრძანდებით, დარდი გვერნია შენს გუაზე.“

მიუგო ჭიტესამ . . .

### XXVIII

მიდიოდა გიორგი, გაუგებარ სიტყვებს როშავდა თანაც. მევობრუბი  
შორიდანაც ატყობინენ: ვილაცას ემუქრებოდა იგი.

ყორეებს ეფარქებოდნენ, უთეალთვალებდნენ, ერთი ვნახოთ /შედ წი-  
ვო ახლა?

მოედანი გადაიარა გლახუნაშ, ხურსისეულ სასახლისეუნ გადაუსვია,  
მხარმარცხნით.

ეზოში შევიდა და შესდგა.

სამიერმ ირწმუნა მცხვეთაში გავრცელებული ჭორი: კოლონკელიძის  
ქალს ჰყარბობს მეცე გორჩვი.

გადაპხედეს ურთიერთს, ჩამოსცილდნენ მართლაც.

ხილნარში შევიდა გიორგი, ახედა ზედაზენის მოებიდან გადმომდგარ  
მოვარეს.

დათოვლილივით მოსჩანდნენ ატმისა და ვაშლის ხეები, მსუბუქი პო-  
რიო ღლნავ აქანავებდა ხეთა კერწეროებს.

ტოკავდა შტოთა ნაჩრდილეერი სითვით ნაქარგვით ამოჩითული მიწა-  
ზე, ასე ვეონა ბილიქზე მიმავალს: ქარცუმულივით ტორტმანბის მთუ-  
ლი ქვეყანა.

მიწის სუნი, ნაზამთრალი ფესვების სუნი, ატმის ყვავილის ნელსურ-  
ნელება იქმეოდა ორგვლივ.

სიმორიალემ მხნეობა შეპმატა.

ალც დედოფლის რიცი ქქინდა ამ წუთში, აღარც მელქისედეკ კათა-  
ლიკისისა. იგულ სულ ერთი იყო მისთვის, თუ ას იტყოდნენ სასახლე-  
ში ავი ენები?

ჭალები ქათქათებდნენ ხურსისეულ სასახლეში.

ალბათ მობრუნებულაო ზედაზენიდან შორენა.

„გირშელი კი არა, მამაჩემი რომ წამოლგეს, ბავრატ კურობალატი,  
არ შევეცუები მასაც.“

ესა სოქევა თოთქმის ხმიმალლა გიორგიმ.

ცა ისეთი მაღალი იყო, ვარსკვლავებიც ისე ნაზად აფახულებდნენ  
ისსფერ წამწამებს, არასოდეს ისეთი ბედნიერება არ უგრძენია გიორგის.

ჯერ კიდევ ყრმას შეაჩეჩს დედოფალი მზრდელმა და მელქისედეკ-  
მა, ისე, როგორც მდაბიორს მიუგდებნ მეზობლიანთ თხოვნიას. ბოლოს  
თავი მოაპეზრეს სულ ჭალებმაც, რადგანაც სძიგდა მოძალებული დიაც.

ამის მეტად არ ეგემნა მიუწვდენელი სიყვარულის ტებილი ბადავი.

შესცეკროდა თეორიად მოქათქათე ხილნარს, სიყვარული, ღვინო და  
ყვავილთა ნელსურნელება შემოგზნებოდა გულზე.

კიდევ შეპხედა სასახლის სარქმელებს.

დარწმუნდა: ჩამოსულაო შორენა, რადგან ცაც ისეთი მაღალი იყო,  
ვარსკვლავებიც ნაზად ნაბავდნენ იისფერ წამწამებს, ოცნებასა და ზმა-  
ნებას გვებანგა ქეეყანა სასულლაც.

სიქაბუკის შემდევ ეს პირებიად შედიოდა ხურსისეულ ეზოში გი-  
ორგი. საჯინიბო ლია იყო, შრამელები ძელოთ, მხოლოდ უზარმაზარი  
ქვისკიბე დარჩენილიყო უცელელად.

პინდური თუთიყუშები ჩხაოდნენ სადღაც. კიბის შეაფერების ისე მიაღწია, არც მონების, არც ძალების ჭავანება არსავ ისმოდა.

„კარგად კი ჰუოლია დაცული ფხოველი ტყველი გამოყენებულ ათა-ნას ბერს!“

გაიფიქრა გიორგიმ. ინანა: აქამდის რად ურ შემოვისოეო გადაცმული ამ სასახლეში?

სულ რამდენიმე ხარისხი ჰქონდა დარჩენილი კიბისა, ტალანტილან ში-ნაური ავაზა გამოვიდა და კიბის თავზე შესდგა.

ფოსფორული შუქი ქათქათებდა ნადირის თვალებში.

გაუკეირდა: აქამდის ცოტხალი კოფილათ ხურსისეული ავაზა!?

კიდევ აიარა ორიოდე ხარისხი. ავაზა დაიძრა დინჯად და წამოვიდა უცხოს შესახვედრად.

თორი არ ეცვა შეფეხს, შეკრთა, ხმლის ვალაზე წაიკლო ხელი.

კილაც დიაცემა გამოსდია ავაზას. უცნობის დანახვაზე შეკრთა.

ამასობაში ავაზა შორახლა გიორგის, მუხლის თავზე უყნისა ძალ-ლიეთ.

მარცხენა ხელი გამოიღო გიორგიმ, უნდა მიალერსებოდა მხეცს, მაგ-რამ საეკვიდ მიიჩნია სტუმარომიუყარეობა მისი.

მარჯვენათი მოზიდა ხმალი.

„ნუ გეშინია, არას გავნებს, ბატონო.“

მიაძია კიბის თავზე შემდგარმა ქალმა.

შერცხვა კიდევაც თდნავ, ქალმა რომ შეამჩნია შეკრთომა ვაჟაპას. ტალანტში შესულს ეცნაურა შინდისფერ მანდილიანი დიაცი. „შეუხრი მშეციდობისა.“

ეუბნება სტუმარი.

ეინა გნებავთ, ბატონო?“

ხმა გაიღო ქალმა.

„დიასახლისი ამ სახლისა“. მიუგო გიორგიმ.

???

„ამ სახლის დიასახლისი?“

დადუმდა მცირე ხანს და დასძინა:

„საჩეკონზებთანაა წასული იგი.“

„ვინა ცხოვრობს სასახლეში ამ უამაღ?“

„ფხოველი ტყვები, ჩერნ.“

„შენ ვინ იქნები, ქალავ?“

„პირისფრარეში ერისთავის ქალისა.“

„თეითონ შორენა სადა მრძანდება, პატრონი შენი?“

„შორენა და მისი მოახლენი ზედაზენს წაიყვანა ჩერნმა მოძღვაომა.“

„შენი სახელი მიბოძე, ქალო.“

„ვარდისახარი, ბატონო ჩერნ.“

გიორგის მცირე რამ სმენოდა ამ ქალის გამო, დაკვირვებულად ტელ-  
დახედა დიაკა.

„შენ თავად კინა ბრძანდები, ბატონო?“

„მეცი გიორგის მალემსროლი, ავშენისე ვარ, გლობუსის მარჯვენა  
მეცე გიორგის ხსენებაზე ანაზღად შეშფოთდა ქალი.“

„მობრძანდით,“ — ეუბნება მოწიწებით სტუმარს, დიდ დარბაზისკენ  
გაუდღევა წინ.

ოთხივე ქუთხეში კაცის სიმაღლე შენდღები ენთო, ხალასი ვერცხლი-  
სა, ნიშებში თავულის სანთლები ბეუტავდნენ.

ირმის ჩექები და ტყავები ეყიდა კედლებზე, გაშლილი ვაშკარანები,  
ლია სკირები და ზანდუკები ელავა არგველი.

შუაგულ დარბაზში ვერცხლის ტაბაკი იღვა, გახსნილი გრავნილი  
ზედ იღო გრძელი. სწორედ ამ ტაბაკთან მიიყვანა ფარდისახარმა სტუმა-  
რი, სელჩე დაჯდომა შესთავაზა მყისვე.

გიორგიმ მოურიდებლად დახედა გრავნილს.

ეს რა არისო?

ეკითხება დიაკი.

„მზითვის წიგნია ერისთავის ქალისა.“

ფარდისახარმა ახდე-დახედა სტუმარს;

ასე დაასკენა სამოსის მიხედვით: მდაბიორიაო ფილაცა, ოლბათ. გულ-  
ახდილად დაუწყო იმიტომაც მას საუბარი.

მარტინშენილისათვის აღტაცება მოეგვარა, როვორც სჩანდა, შორე-  
ნას შეითევს. სათითოდ უჩენებდა ყოველივეს სტუმარს.

დაუზარებლად ეტრეტიკებოდა მეცეს, აქებდა თავის პატრიონს თანაც-

გულნაზიაო და პირმშევნიერი შორენა, ურთიერთისგან არ აჩინებს  
დილისა და მცირეს, მანდილოსახანის სინატიცე და რაინდის ლომგულოვნე-  
ბა თანაბრად შერწყმულია მასში.

ბედმა უმუხათლაო ჩემს პატრიონს ერთხელ, დააბეჭდესო მსტოვარებ-  
მა კოლონელიძე, მეცეს ლალატი შესწიმესო უბრალოდ, — ზეიად სპა-  
სალარს აძაგებდა კევტარის დამქუცველს, — თვალები დაუბნელესო უმი-  
ზებოდ ბედერტულ ერისთავს.

ზეიადშა მოუკლაო ერისთავის ქალს საქმრო, ბოლოს თავად მეცეს  
უნდოდა ცოლად შეერთო, მაგრამ მელქისედეგმა და დელოფალმა არ  
დაანებესო. მაინც მოხედაო შორენას ღმერთმა....

ახლა თავისი ცხოვრების ამბავიც წმითიშვილ ფარდისახარმა.

მეც ეყიდვით ბედნიერი ოდესაც, ოქსთა მეცე მიგულებდა სასტოდი  
(არ გაუმშელია, ხარჭად რომ ჰყავდა ოქსთა მეცეს, არც ის უთქვამს, ჭია-  
ბერმა რომ მოწიმლეინა ივი).

უცებ შესწევიტა ამგვარი ტიკტიკი:

„მაინც რა საქმე გაქვს შორენასთან, კაცი?“

2. მნაობი, № 2



„ნაბრძანები მაქეს პირადად მოეახსენო საუწყებელი.“

„მაშ ღაიცადე მცირედი, გამოწინდებიან სადაცაა პლიაზი.“

გიორგიმ თავათაც არ იკოდა ამ წუთში, მართლაც არ შემოსულია შემოწენა, რა უნდა ეთვე მოულოდნელ სტუმარზე კი და უდიდესი.

გიორგიმ საუბარში შეატყო: დიაცემა არც კი ჩიტროდა! მიმდინებული არმ იყო არაგვი.

მთელი კვირა გარედ არ გამიხედავს, შორენას მზიოევს ვითვლი და ვალაგვებ, გურანტუხტს მოველითო ხეალ.

ესა სოჭვა ვარდისახარმა და ვახსნილ ვაშვარანებთან მიიყვანა სტუმარი.

საყდრის იარაღებს აქენებდა დიდის მოწიწებით, ოქტოოთი შეძელილ ხატებს, ვერცხლის ლუსკუმიან ჯერებს, ტიდრონი იაგუნდებით, ლალებითა და საფირონებით მოოცევილთ.

ძელი კეშმარიტი გადმოილა ერთი, ხოშმორის მარგალიტებით შეძელული. სახარება და ფსალმუნი ფერადი მინიატურებით დამშენებული, ოქტოოთი მოჭედილი ბულებიც მათთვის.

სილოს ძელის ზანდუყი გახსნა, საყურეები ამოილო ბადაბშანის ლალებითა, ნიშაბურის ფირუზებით, მერასა ჯაჭვებითა და თირთმიებითა.

შესანიშნავი მანიაკები გადაიცა ყელზე, ვარდისფერი იაგუნდებითა.

წითელი, ყვითელი და პირისფერი იაგუნდები ისხდინ ბეჭდების თვლებში.

მიჭერიტანები ამოალავა ოქტოოთი მოზარნიშებული, საყურეები ყერიმალებთან მიპქონდა, ბეჭდების თითებზე იზომავდა.

ასე ვეგონა: თვალს მოსჭრისო მათი დანახვა ხამილის სამოსში ვამოწყობილ „მდაბიორს“.

როცა პატიოსანი თელები წამიერად მიეახლებოდნენ ვარდისახარმა, ეს ყაველივე ბრწყინვალებას ჰმატებდა ისედაც პირმშევრიერ დიაცეს, მიგრამ მათვან მოვარილი აღტაცება თვალსაჩინოდ პხდიდა მდაბიორობას მისას.

ახლა დიდი ზანდუყი გახსნა ჯვრის ჩუქურომებით შეძელული. ოქტოოს ფიალები ამოალავა, ვერცხლის ჯამები, ვერცხლნაქანდაკები ლანგარები, წერის ყელიანი სურები.

ოქტოოს ფიალა აიღო გიორგიმ. ირმები იყო ზედ ვამოსახული, ფური და ხარი მიპყებოდნენ ურთიერთს, წყვილებს წყვილებიდან თიშავდა მგელაცების უცნაური ფოფურები.

დიდ სურაზე ნატირობა იყო ვამოხატული, ხოხობზე მონადირე მოისარები მოსჩანდნენ, მაძებრების თავები, გაქცეული ნიამორების ვაღრეკილი ზურგები, ვაზის ლერწები და ფოთლები გარს ერტყა სხვათა, უდიდესის გულმოდვინებით შესრულებული ისტატის მიერ.

ახლა საპირფარეშოს ოქტოოს გოდოლები ვაღმოილო ვარდისახარმა, უმარილის სალესი ჯამები, თმის საყოფები, ყურისა და კბილის საჩინქნი

ჩხირები თქმოსანი, ბროლის ტარიანი თმის სახვევები, გველვაზე დაგრენილი თქმოს მარყუეცები ნაწილების დასავრავნელი.

მოქვენებმითი გულისფურით თვალიერებდა ამ ნივთებს გროვი, გამოაზრმეცდა ვარდისახარის, სინჯავდა, აქებდა სათითოსწერებულების.

ორხოვის ქეჩები ამოალავა დიაცემა, ხატაური, და ჰინდური სტავრი, ორხოთი ნეშსურნი სრულად.

ეკრუცლის თუნები აბანოში სახმარი, ფერადად ნაქარვი აბანოს სუზანები, მოვის პერანგები, მარგალიტის თირთიმებითა და ყირმიზი ლალებით დამზენებულნი.

საწმერთულებს თვალი წაატანა გიორგიმ, პირისფერის, ბროწეულის ყვაელისა და სინგურისფერისას.

გულის პირები ამოპყა შათ, ფერადი მაშიები, მარგალიტი მოოქვეილი ქოშები.

ერთი საწმერთული აიღო გიორგიმ ხელში, ხობის ყელის ფერი. ტორებზე ირმის თავები იყო სითვით ამოქარგული, მეორეზე ვაზის ფოთლები და მტევნები იყო თქრომკედის ამოყანილი.

ხატაური და ირანული დიბის კაბები გაღმოილო ვარდისახარმა, ნარინჯისფერნი, მზესფერნი და ზღვისფერნი.

ცხრა კაბა ქირმანული ფერადი შალისა, ცხრა საწმერთული ვეიმრის-ფერი, ენდროსფერი და პირისფერნი.

ოქროს ქამრები, მძიმე სარტყლები ამოალავა თეთრი, შავი და უნაბისფერნი.

ყვითელი, მწვანე, ქრუნი და იისფერი ქათიბები, თქროს სინსილიანნი, რყავებები, თქროქსოვილი ზორტებით და მარგალიტის ფოჩებიანნი.

კვერნის ტყავები მარგალიტის საყბეურებით, თქროისა და ალმასების ლილებითა.

ჟვეშავებს თვალი მოქრა ვიორგიმ, დორქებს, საღენებს, ვაშვარანებს, მაფრაშებს, თასებს ხატაურისა და ირანულ ლანგრებს, ვაზებს და სურებს.

ჭირმანული ხალიჩები ეყარა ირველივ, თქრომკედით მოქარგული მუთაქები, ბალიშები და ნატები.

ახლა ცხემსავაზმი აჩენა დიაცემა.

მურისა თქროთი შეკედილი უნაგირები, მშელის ბეჭედის თოქალთოები, თქრომკედით კიდემოხატული, ვერცხლის სამკერდენი, საცხენო თარინი, ბიზანტიური, ქართული და ირანული, ვერცხლით შეზიკული აღვირები, ლაგამები და მოსართავები.

მარგალიტის ქუდი ხელში შეჩინოდა ვარდისახარის, თავზე დაიხურა და გაუდინა სტუმარის.

„ერთ წუთში მე ვიქნები ერისთავის სასძლო“.

ნალვლიანად დასძინა:

„ეჭ, ერთ დროს მეც ვამილიმა ბედმა, მაგრამ რისხეით მობრუნდა ჩემს თავზე ცარგვალი!“

გიორგიმ შეხედა დიაცეს.

გაასენდა ზეიალის ნაამბობი: მეჯადაგის ქალი ყოფილობ კრისისახარი. შესკეროდა, უკვირდა: როგორ წარმოშეაო მეჯადაგიმ? უდიშომ შვენიერი დიაცი!

გიორგიმ შეავლო

მარგალიტის ქუდს და მწყრისფერ აბრეშუმის კაბას. მოავონდა: ეს ქუდი ენურია შორენას, როცა კვეტარის ციხის კარებთან შეავებეს იგი მეფეს. სწორედ ეგ მწყრისფერია კაბა ემოსა იმ სალაშის.

მართლაც სადედოფლო ქალი იდგა მის წინაშე. შორი-ახლო იწვა ავაზა, წინა თათებზე დაედო თავი.

ოდნავ, სულ ოდნავ ჭორფლიანი, მაგრამ თეორი, ვაშლის ყვავილის ფერი სახე ქვინდა, ავაზას დარი თვალები.

მწყრისფერი აბრეშუმი დიდად ჰშვენოდა, ნასხვისარობა ეტყობოდა კაბას.

მკერივად შემოტმასნოდა იგი გათქვირულ ძუძუებსა და სავსე თეძოებს.

ზედატანი ოდნავ გაუტეცილი იყო სწორედ იმ აღვილას, საღაც ძუძუს კერტები ზედმოსდევომოდა მწყრისფერ აბრეშუმს.

ახლა დაჩწმუნდა გიორგი: მართლაც გრძნეული უნდა იყოს ეს დიაცი.

განზრაბ შეეკითხა გარდისახარს:

კი მიპყვებაო ცოლად ერისთავის ასული?

ვარდისახარი ვაოცდა: როგორ არ სცოდნიათ ეს ამბავი მცხეთელს? მთელი ქალაქი ამ ქორწინების გამო ჭორიაბსო დღენიადაგ.

„მაინც ეის?“

გაუმეორა გიორგიმ ეითხვა.

„მეცვე გიორგის ბრძანებით, გირშელს, ყველის ციხის პატრონი.“

მოწიწებით წარმოსთქვა ერისთავის სახელი დიაცმა.

გველცემულივით ზეწამოიკრა, ამ წუთში იჩწმუნა, სამუდამოდ დაკარგეთ შორენა.

სამსცეალივით ეცა გულზე ეს სახელი „გირშელი“.

განზრაბ შეეკითხა დიაცს:

„რა კაცია ნეტავ ეგ გირშელი?“

„დიდი ვაკეაცი, მოისარი ფრიადი, ერისთავი უსაჩინიესი, გიორგი მეფის დედისძმისწული“.

კიდევ აბრებდა ვარდისახარი ამ რაინდის სხვა სიქველეთა ჩამოთველას, მაგრამ სტუმარმა არ აცალა და სიტყვა ჩაუგდო საუბარში ასეთი:

„ალბათ ბედნიერია ერისთავის ქალი, პა?“

„ჩემს პატრონს სხვა უკერძა, აზხევოსა, ერისთავი ჭიაბურ, მაგრას რა ჩარა აქეს ახლა, გიორგი მეფის ტყვეები ეართ ჩვენა, არჩევანის ნებავინ მოვეცა ბედშევთ?“

„ამ რომ, რასაც მეფე გიბბიძანებთ, ყოველივეს შეისრულებზე არა?“  
გაეხსემჩა გიორგი და მის მაღალ მკერძის დააღვა თვალი.  
ქალმა ეს შემოხედეთა დაიკირა, იმიღწერა, ასრუ ფუფუდ ცრუ გეა-  
სუნდა.

„აფესუს, რად არა ვარ მეფე გიორგი?“

ეითომდაც ნალელიანად ამბობს სტუმარი. კიდევ შეხედა მის აბორ-  
ცუილ ძუძუებს და კვლავ გაულიმა, ახლა უფრო მოურიდებლად,  
მხრეშად.

„მეფე გიორგი რომ იყვე, რას იზამდი ნეტავი?“

„მეფე გიორგი რომ იყვე? ხარჭად ავიყვანდი შენაც“. „

ეს უთხრა, ახლოს მიექრა დიაცს, ავაზისებრ თვალებში ჩაშტერდა,

მარჯვენა ძუძუშე წაუცაცუნა ხელი. (ასეთი მშევნიერი ძუძუები ამა-  
სოდეს ენახა ქალის სხეულზე გიორგის).

გარდისახარი იილეჭა.

„ხელები დაიმოკლე, ბედშავო!“

შერისხა და მარჯვენა ხელზე წაუტლაშუნა მამაკაცს მარცხენა.

გიორგიმ ხელი მოუნაცვლა, ახლა მარცხენა წაუცაცუნა მარცხენა ძუ-  
ძუს, მერმე მარჯვენა გამოილო სწრაფად, ქედზე შემოპხეია, მოიზიდა  
დიაცს.

მერქადზე შემოენთო ქალის სხეულის სილბო და სიტყო.

უარესად აღელდა მოვრალი, თვით გადაუწია მქლავებში ჩაბლუჯულს,  
უნდოდა მისწედონოდა მის წითელსა და ვნებიან ტუჩებს, მავრამ ლელვის  
შტრასავით გადაიკეცა ქალი.

მარჯვენა გამოილო, მერქადზე ხელი ჰქონა მამაკაცს და მიახალა:

„თუ მართლაც მეფის მიერ ხარ მოგზავნილი, ისე გაისარჯე, როვორც  
მეფეთა მოციქულებს ეს კადრება, ბრიყვა.“

ასეთი სიტყვა არავის უკადრებით გიორგისათვის ჯერ.

ბრაზი, ლეინო და ვნება მოეძილა ქრობაშად, ნაბიჯი წინ წასლება  
კვლავ და ეუბნება დიაცს:

„მე თვითონ ვარ მეფე გიორგი.“

იქედნურად გაულიმა ქალმა:

„მეფე გიორგის მოგიგავს წვერი.“

სტუმარმა ჩაიცვანა, კვლავ წაეპოტინა ივი ვარდისახარის. მცირე ხანს  
იპირძლენენ დიაცი და მამაცი. მქლავების სალტებებში მომწყვდეული  
ატირდა.

თუ ამ მომეშვები, ვიყიდებო ახლავე.

მქლავები შეუშეა გიორგიმ, ვარდისახარმა იღრიოვა, ხელი ჰქონა ისევე  
მერქადზე, დაბარბაცდა მოვრალი, მუნევ გაწოლილ ავაზის ზედ გადა-  
აწყდა. ნადირი განზე გადაუხტა, თვალები დაუტრიილა უცხოს, შემზა-  
რავად ლაშდალრენილმა.

თავისი ვაცოლებული ავაზია მოავონა გიორგის ფოსტორულმა ელვამ,  
შმალს ხელი მიჰყო, ელდის უსწრაფესად ძირს დასცა მხეცი.

სისხლის დანახებისას შედრეა უცნაურად ქალი. გომრები მაღალი გასწმინდა, აულელებლად ჩაავდო ქარქაშში. კელად მიეახლო კონტრასახარს. ასე ევონა, დავიუფლეო შემყრთალი დიაცი.

გაიბროლა ქალმა, ისეც ატირდა, მაგრამ მტკიცებულების შემოჭობოდა სხეულზე. გახელებული მთვრალი ჰკოცნიდა ყურიმალებზე, კისერზე.

საკინძე გაუფხრიშა ვიორები და ძუძუშე უკბინა ვახელებულმა.

ვაპმეო, იყვირა ვარდისახარმა და როცა შემყრთალი მამაკაცი მოეშვა კვლავ, მარჯვენა ხელი მოუქნია და სტეცა სილა.

გონის მოვიდა მთვრალი, სიწითლები რევონე მის სახეზე, ავაზას ლეზე ვადააბოტა და მიმართა ლამეს.

## XXIX

„ახლა, ქორწინებისათვის კეიმატა დღების გამოც უნდა მოვითხოოთ მცირეოდენ. გაზაფხულის სამიცე თევზი კურდლის დღენი, სამოვენ ნაესია... შაფულის სამიცე თევზი ცხენის დღენი, სამიცენი ნაესია.“

ფარსმან სპარსის სამთვარითოდან.

შოშიები მობრუნებულიყვნენ მცხეთაში.

არსაკიძე იცნიდან უთვალოთვალებდა. აურაცხელი, მშვენიერი ფრინველი შერეოდა ჭადარს.

ეშვებოდა ბინდი.

არსაკიძე ჯერ კიდევ პხედავდა ხოჭოს ჯიეშანიერი ლაპლაპა ნაქრტენზე ალაგალავ სხურცუბულ სიშავეს. ერთობლივად უიოლა, ულურტულებდა სირი.

შოშიები არ აპირებდნენ დაცხრომას. უცხოსა და უცხო ქვეუნების ამბავს უამბობენო თითქოს ურთიერთს, ერთად ყოველით ვახარებული.

დაქანცული იყო დღიურ ჯაფისაგან კონსტანტინე. სვეტს მიყრდნობილი შესცეკროდა, ყურს უგდებდა ამ სანახობას.

ასე ევონა მცერეტელს: სადაცაა შევიცნობო მათი იდუმალი ულურტულის შინაარსს.

უცნაური სიმარტოვე შეიცნო.

სიყრმე მოავონდა თავისი.

სწორედ მის სარქმელთან მოდიოდნენ ისინი გაზაფხულზე კეეტარში. ნეკერქისლის ხეზე ათევდნენ ლამეს.

შოშიებს მოპქონდა გაზაფხულის სიხარული მთაში.

დედა მოავონა ამ მმარტა არსაკიძეს.

დაფათურებს ალბათ შეიოსანი, მთიულური ქვიტკირის ეზოში.

ყორნები შემომსხვარან მახლობელ ნაძევებზე. უხიავი ურანტალით უხმობენ ლამეს. შოშიები ფეირან ნაკურქისლის შევანეში.

ჰევალნათლივ პხედავს კონსტანტინე შავ ცხერებს.

მოესმის ნეზვებისა და ბატუნების ერთობლივი ბლავილი.

ვონების თვალი მიაყოლა შეავადმისილ მოხუცის ლახდა.

დაფაცურობს დედა, დასდევს დახუთული ცხვრებს.

ვიდრე ქრის გამოსწველიდეს, რომელიმე თოხლი შეუვარდება ჯი-  
ქნში შექს.

დაიჩვებს, ურაჯგუნებს გამობერტყილ ძუძუებს. პირველი შე-  
სიყრმეში თავათ ეხმარებოდა ცხვრის წველისა დედას, საჩიხეში შე-  
რეავდა ბატქნებს, ხელს წააველებდა ურაზე, სათოთოდ მოპგრილა  
ჯირებულ მჯდარ მოხუცის.

ამ წუთში შემოესმა არსაკიძეს გულგანაწყენი ბლავილი.

დაფაცურობს შუაცეცხლთან დედა.

ჩრაქვით გააღვიძებს ციცხლს.

აძეს ჩააყენებს...

იღოცავს...

ხატს შეაველრებს თავის ერთადერთ ვაჟს.

დაწვება მოხუცი იმ იმედით: სიშმარეში მაინც ვნახოვო გადაკარგული  
შეილო.

„უტა“, — მოესმის არსაკიძეს თავისი ლაზური სახელი.

შოშიები დაცრნენ.

მცუმარებამ დაიგანა ბალში.

მთვარე ჯერაც არ ამოსულიყო.

ქიმერებივით მოსრინდნენ ცაცხების, ჭალრების და თრიმლიანი მსხლე-  
ბის სილუეტები.

უცვარდა არსაკიძეს ჭვრეტა ღამისა, როცა ქვეყანა ბნელითაა მო-  
ცული და მხოლოდ ჩქმით შეიცნობა, რომ სიცოცხლე ჯერაც ფეთქეს  
მიწაზე.

აიგანზე მარტო დარჩენილს მოესმის თოჯორს დედის ნათქვამი ლა-  
ზერად: რჩე დალიეთ, უტა!

დასძაბა ვონების ძალი თვალდახუჭულმა: სურდა შეეცნო, თუ რას  
ეტოდა შორეული ჩვენება დედისა?

უსუსური აღმოჩნდა ვონება.

ახლა ნანობს არსაკიძე: რად არ ვასწავლეთ მოხუცებულს წიგნი?

სიტყვიერად უთვლიდა მოკითხვას შორიდან.

ხან წაბლს გამოუგზავნიდა, ხან სხმარტლს, ხან პანტას, დედის მიერ  
ხელშენვლებს. ფხოვეურ პაპიკებს, ჭრელ წინდებს, ბალთებმოქარგულ  
ფხოვეურ ჩოხას.

იმდენი სიყვარული და სიტუო თან ჩამოპყებოდა ხოლმე ამ საგნებს,  
დიდანს, დიდანს ყოფნიდა ჯაფისაგან წელში გაწყვეტილ ოსტატს ეს  
უკვიდივე.

უთვლიდა დედა:

დაესწერულდო, შეილო, მეშინია: არ ამომხდესო უშენოდ სული.

ცნობა მოვიდა კვეტარში: გაუცვნიარო ვიორგი მეფეს.

ალბათ მეფესაც ეყოლებათ დედა, ალბათ მეფესაც ეყვარებათ დედა.

დედა დააფიცეო მეფეს, შეეცელრეო ჩემს მაგივრად, ჭამრგვაშეასო დედის სახახავად.

ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც თვალი მოკერა როგორმევ, საცედილის წინ დაგლოცო, შეიღო, შემდევ ამისა ნე შემჩრჩევა, სურთმავ შემდევ ამისა მიმიღოსო უფალმა.

გზა რომ ვიცოდე, კვალი რომ ვიცოდე, თავათ წამოვიდოდი როგორმე, პურისმცხომელად დავდგებოდი შემს ახლოს საღმე, თავს არ დავიზოგავდი, წამოვიდორთხებოდი როგორმე, ფეხები დამისივდა, ძველებურად ვეღარ ვაღდებიო ცენზე.

ეგც არ იყოს, ეინდა მიხედავსო მამას, ფხოვერ მიწაში მარტყა მწოდებირეს?

საკლავს ვინ შესწირავსო სულის საცხოვნებელად, ხუცს ვინ აწირეინ ნებსო სალხენად მისდა?

ისევ ისა სჯობია თავათ ინახულოვო მოხუცი დედა.

ეს შემოუთველი არსაკიძეს დედამ, კალატრაზის ბოდოკიას პირით.

ფხოველი დიაცი ჰყავდა ბოდოკიას, ლაზე.

არა პენა დედაკაცმა ბარში ჩამოსცლა, ვერ მოეშორდებიო წინაპართა საძარალეს.

თავათ მიღიოდა ამიტომაც ბოდოკია სამ თვეში ერთხელ ცოლის სახახად ფხოვს.

მას შემდევ, რაც ფარსმან სპარს აჟყარეს პატივი, არსაკიძე გახდა ხურითმოძღვარი მეფისა.

მეფისათვის უნდა ეთხოვა მას ფხოვს წასვლის წება.

ერთდებოდა თხოვნას.

თავათაც ენატრებოდა მოხუცის ნახეა, მაგრამ არ იქნა და ვერ მოთვდა სკეტიცხოველი.

რაც უფრო მაღლა მიიწევდა შენობა, უფრო და უფრო როგორდებოდა ოსტატის საქმე.

ხარაჩოები ინგრედინტ ზამორიბით, მუშახელი ზიანდებოდა.

დაიღუპებოდა რომელიმე ოსტატი, შეენებლობა შეფერხდებოდა.

კაცის მაგივრად კაცის პოვნა ხომ ადვილია, ოსტატის ნაცვლად ოსტატის გამონახვა ასევე ძნელი.

კარგად იკოდა კომისტიანტინმ:

ქმნილების დაწყებაა მთავარი, მაგრამ დასრულება მისი უმთავრესია მინც.

დიდი მოამავე იყო მელქისედევ კათალიკოსი, მაგრამ ეამიღან კამზე ხელს უშლიდა არსაკიძეს. ფარსმანის მაგალითით დაშინებულს, ყოველ წვრილმანში „წარმართობა“ ელანდებოდა, უნებლივდ ებრძოდა ბერიკაცი ქართულ მოტივებს, ძველ ბიზანტიურ მკლარ სქემებზე შეკვარებული.

თავით არსაკიძესაც ბერძნული სკოლა ჰქონდა პიზანტიონში /გვივლით-ლი. მას შემდეგ, რაც თავისთვალი გახდა ოსტატი, ულოლატი მამწავ-ლებლების გზის.

(ეს ასე ყოფილა მუდმი: ვინც შეგირდი არა ყოფილი, მუდმილეს ვახდება ოსტატი, ეკრუ იყო გახდება ოდესშე ოსტატი, შუდაშ სტრიბს ვინც შეპყურებს პირზ).

იქვეულად შესკერილა მელქისედეკი არაქრისტეანთ ოსტატთა შო-რის. უნიჭო ქრისტეანს არჩევდა ნიკიერი ირანელს ანდა სარკინოზს.

არსაკიძესაც ახელებდა მელქისედეკის უთავეამ მითოგებანი. მუდმაშ სძაგლი ისეთი ოსტატები, რომელთაც პირვევრის წერის მეტი არა ესწივ-ლათ რა.

გამოგზავნიდა ხოლმე რომელიმე მეჯადაგეს კათალიკოსი, მართლ-მოწმეულეაო, შემოუთვლიდა, გამოიყენო ეს ოსტატი როგორმე.

სასტიკად ტექსავდა ამ „მეჯადაგე ოსტატებს“ არსაკიძე.

ბრაზმორეულნი გარჩოზნენ ეზოსმოძღვართან, ხანაც კათალიკოსს დაუხელებოდნენ წინ, მშენებლობის მოსახილეელად მოსულს.

აბეზლებდნენ არსაკიძეს: მართლმორჩმეულებს სდევნისო „წარმართი ფხოველი“, იბერიელებსა და ქრისტიანებს აქვეითებს, აწინაურებსო ლა-ზებსა და ფხოველებს.

გასულ წელს ხარაჩოებიდან ჩამოვარდა კალატოზი გარისელისე, მო-ქანდაკე ქველისე, მეჩუქერთმე კვირიკაისე, მეფის შხატუარი ოტო-შაია, მექანდაკენი: როსტომაისე და წვერერქელისე.

წრეულს მიწისძერის დროს თებერვლის 3-ს, კედელი ჩამოწვა. ასზე მონა ხელოსანი გასრისა, სამას ფხოველთავან მხოლოდ სამოცა გა-დატია.

ცელი კება და სახადი მუსრს დელებდა მუშა ხელს.

მოაქუჩებდნენ ცხელებს, დაეკითხებდა ხუცესი, დაკურიდნენ ურმებზე და ჩაპყრილნენ ქალაქს გარედ თამოში. (არც კაცს, არც ქვის, არც სიტყვას არ შემოვნახავს მათი სიხელი).

არსაკიძე ჰქედავდა ამას ყოველივეს.

გული სტკივოდა, კურ ბედავდა ხმის მოძღვაბას.

ასეთ დროს ტაძრის მიტოვება და ფხოვს წასელა ღალატი იქნებოდა საქმისა უთუოდ.

„ხელოვანება გულის სისხლს მოითხოვს საფასად. თუ მოელი ჯანი არ შეალი ამ სასტრი ბომბოს, ილარიაფერი გამოვიდა ხელიდან.“

ღამეშ დაიგანა რატისეულ სასახლის ხილნარში.

ღამეშ დაიგანა რატისეულ სასახლის ხილნარში. გარე ბალიერი შეუწიოთლდა დასავლე-თოთ ცს.

ჯვარის მონასტერის წამოადგა მოვარე.

ტურქების კივილი მოისმოდა შორისიან, კატები ლნაოდნენ ბაღიაში.

შეკრთა ბნელში მდგომარე უეტრად.

ნონაი ეპოტინებოდა მელავზე.

შესქამეო რაიმე, შეიღო.

დიღხანს უჯდა შუაცეცხლს ნონაის სამყოფლოში დაბრუნდა.

მადლი უძღვნა ნონაის.

ხელის დაბანა მოეწადინა.

ფრჩხილებზე დაიხედა უეცრად.

ვაახსენდა: ფეხი რომ დაუცურდა ხარაპოზ ამ დილით. მოებლაუჭა ძელს. ფრჩხილები დამსხვრევოდა მარჯვენაზე სრულად.

დანა ვალესა, ქნა დაუწყო ფრჩხილებს.

ადგა ნონაი.

წიგნი მოუტანა ყდაგახუნებული.

ფრჩხილის დაქნისათვის წერიათ ამ წიგნში რალაც.

“უკეთუ ურჩხულის დღეს ფრჩხილი დაიქნას ვანმემ, გულის სწორთან წაჟიდებას ელოდეს იგი.

კინცა ძროხის დღეს დაიქნას, სიხარულია უცცარი მოსალოდნელი.

კურდლლის დღეს — საყვარელთან წაჟიდებასა, გველის დღეს — მორიელისაგან დაკტრიას.

ცხენის დღეს — ქრთამებსა ფრიაღს, ლომის დღეს — საწადელი აუზდეს.”

თავი აღთ არსაკიძემ, შესკინა მხევალს.

“ვისია ეს წიგნი, ნონაი?”

“ფარსემან სპარსეთ უსახსოვრა განსვენებულს რატის ოდესლაც.”

დიღხანს იჯდა არსაკიძე კერასთან.

კითხულობდა სამთვარიოს, ცეცხლის შუქთან მიპქონდა წიგნი.

ნონაი კუთხეში მიგდებულიყო დათვის ტყავშე.

ბოდავდა ძილში.

კენჭი შემოვარდა სარქმლიდან.

ჩქამი შეიცნო არსაკიძემ, მიიხედ-მოიხედა, კვლავ განავრიძო სამთვარიოს ფურცელა.

ახლა მის ფერზოთ დაეცა კენჭი.

ადგა, ბალჩაში გაეიღდა.

ქოტის ხმა მოდიოდა მუხოვანიდან.

შინ შებრუნება დაპირა და სწორედ ამ დროს გაიღლვა ცაცხეის ქვეშ თეთრირიდიანმა ლანდმა.

მიებაღლა თუ არა, მთვარის შუქზე ვარდისახარი შეიცნო.

დარბაზში იყვანა სტუმარი.

შემკრთალი ეწევნა ვარდისახარი, ქუშამიშვილარსაციო ქშინავდა დიაცი.

ვალები დააქცრეო, ეს იყო პირველი სიტყვა სტუმრისა. შემოვცის-წრებს ვინმე.

კუცნაურა მისი ნათქვაში არსაკიძეს.

სელი მოუტანა და დასვა დიაცი.



იმპერიალისტური  
გამამუშავილი

დარბაზს თვალი მოავლო ვარდისახარმა, მიაშერდა კადლებზე და  
კიდულ ფარებსა და რეინის პერანგებს.

ისე შეეცვიდა ვაჟი:

შუქი რაღად გვინდა, დააქერეო ჭალები.

„რად უნდა დავაქრო, ქალავ? ნონაის სძინავს, რატისერლ მხევალს,  
სხვა ვინ და მოვა ამ ლაშეში ჩემთან?“

თავათაც აიღო სელი, გვერდით მოუჯდა.

უფრო შეტად დამშევნებულიყო ტყვეობაში ვარდისახარი.

მოეწონა წაწალ ყოფილი.

ქედზე ხელი გადაპხვადა, იკაცა ყვრიშალში.

ნებას დაჭყვა დიაცი, წელზე ხელი მოავლო, მოიზიდა, თავი გადა-  
უწია, დიდხანს, დიდხანს უწუწიდა გოლეულიყით ტყბილსა და ვნებიან  
ტრებებს.

მერმე მოსწყულნენ ერთი მეორეს ვნებისაგან აღრეულნი.

თრიაქით მოერალს მიუგავდა ვეფხისძარი თვალები დიაცის. ხორბ-  
ლისფერი ნაწავები დაუხსნა არსაკიძემ, თავის ვარშემო სამეცად შე-  
მოერაგნილი.

აღექი, ტახტზე დავჯდეთ, შეეცვიდა ვაჟი.

აქ მიზჩევნიაო, აიჩემა ქალმა.

კიდევ შეეცვიდა ვაჟი, მაინც გაჯიქედა ვარდისახარი.

მივიღოდა ვაჟკაცი, ბალლივით აიყვანა გათქვირული დიაცი და ტახტზე  
დააწივინა ძალით.

ქილი წამოდგა, ჯდომა სჯობიათ წოლას.

არსაკიძე გვერდით მიუჯდა ისევ.

თავი აარიდა საყვარელის ხევნას ვარდისახარმა, შერისხა ვატმა. აღგა,  
ტახტის წინ დაიწიქა, მუხლზე თავი დაადო არსაკიძეს. ბალლივით აქვი-  
თინდა ქალი.

ვატმა არა ჰქითხა მიზეზი.

დიდი ხნის გაყრის შემდეგ მოსულს ანაზღად აუჩეროლდაო გული-  
ალურსითა და ლაციონით მოიხსეს ვნება.

წყალი ითხოვა სტრმიზმა.

მოკელა თუ არა წყურევილი, გამხიარულდა, ატიკტიედა თავისებურად.

შორენა ზედაშენს იყო, გუშინ მობრუნდაო ძლიერ. გურანდუხტი შინ  
დაუხვდა.

„ტირილით გადაეხვიენ დედა-შვილი ურთიერთს, ქვა აღულდებოდა  
მათი შემხედვერ.“

ნიშნობა იქნება მაღლა.“

აქებდა, აღიდებდა ვარდისახარი გირშელს, ყველის ციხის პატრონს.

ქვეშეცნეულად ას მოსწონდა ეს კაცი არსაკიძეს, არც მისი სხენება  
იამა ახლა, მაინც ყურს უგდებდა დიაცის ტიკტიკს.

— გუშინ თვალი მოვქარი, — გინაგრძო ვარდისახარმა, — ვშევნოდა  
ცხენზე ჯდომა ერისთავს. გიორგი მეფეს მიჰყევებოდა ცხენდაცხენ. სულ

ჩეული რაინდები ათლინენ, თორაბჯარში ჩაჭერილი ხაულარ, სახის იქრით ვიორები ბრწყინავდა. ახოვანებით ვირშელი — ყველის ციხის პატრონი.

ორი 1694 წ.

მოაქრივეთი თორი ეცვა მეფეს, ხოლო ერისთავები ამოქენებული ხაულად.

იქნეული იყო არსაკიძე ფრიად, განსაკუთრებით ვარდისახარის მიმართ. დღემდის ვერ გვატევებინა მისოვის, ოცხა მეფის ხარვად ყოფნა ოდესალაც.

„შენ მარც რომელი უფრო მოგეწონა, ვარდო, ვიორები მეუკე, თუ ერისთავი ვირშელი?“

დამცინაცი კილოთი შეეკითხა დიაცა.

კითხულმა ვერ გაიგო დაცინეა.

„მართალი ვითხრა, ვიორები მეუკე — მე არ მიყვარს მამაკაცი ახმახი.“ არსაკიძე ამიღვრა, მაგრამ დადუმდა.

აივნიდან ჩემი შემოესმათ.

მასპინძელი გარედ გავიდა.

ძალილი დარჩენილიყო ტალანტი. ძირს ჩაუშეა, კარი ვადარაზა ისევ. ვარდისახარი ზეზე დაუხვდა. ამბობს:

„შენ უნდა წავიდე, თორებმ შორენა არ დაწვება უნიმოდ. ტანზე უნდა გაეხადო ჩემს პატრიონს.“

„შეიცალე მცირე ხანს.“

მიეახლა ვაკი.

ტანზე დასვა კვლავ, ვერდით მიუკვდა, თმები გადაუწია და ყურის ბიბილოზე აკოცა.

ატიკტიკდა ვარდისახარი ისევე.

საიდუმლო უნდა გაგიმხილო ერთი. ფიცის ქვეშ გამანდოვო გურან-დებრმა, შორენს დედამ.

დაინტერესდა არსაკიძე.

რა ვიამშოვო ვურანდუხტმა ასეთი?

გაჯიუტდა დიაცა.

შეეცედრა არსაკიძე კვლავ.

„მაშ შემომფიცე, შორენსაც რომ არ გაუმხედ.“

სამეცეცი ფიცი დასდო არსაკიძემ.

„თურმე ნუ იტყვი, — ილურმალის ხმით დაიწყო ქალმა, — შორენა როდი ყოფილა შენი ძუძუმტე.“

„მაშ ვინა?“

შეაწყვეტინა ვაოცებულმა სიტყვა.

„მზექალაი, კოლონკელიძის ხარჭის ნაშობი.“

„სადღა მერმე მზექალაი?“

„აკეანშიცე მომკედარა ივი.“

ვარდისახარი მცირე ხანს შესდგა, ისევ მიმოიხვდა და განაცრიო:

„პო და... მზექალაი ყოფილა ძუძუმტე შენი.“

„მაშ რად გვეუბნებოდნენ, ძუძუმტენი საჩითა?“

„ალებათ მაშინაც იკუადნენ, ყმაწყილები რომ წაწლობენ ფაზოვინ, ჰე-შინებისა გურანდუბტა, მიტომაც დაუთქვამს ძუძუმტეობა თქვენის ესა სოქევა ვარდისახარმა, ციცირად გაულიმა საყვარელოს ეფუძნების უსიტყვიდ ვეკითხებოდა თვალებით: ხომ არ გაგეხარდა, რომ მარტინი მიმართ შორენს ძუძუმტე?“

ვაოცდა ასესაყოდე ამის გამვონე. დიაკის ღიმილის შინაარსს არც კა ჩასწევდებია.

„მარტოკა იზრდებოდა ერთისთვის ციხეში შორენა, აზნაურთაგანი არავინ იყო ახლო-მახლო. მონები სად გაუწევდნენ შეგობრობას აზნაურს? სიყრიშიდან ერთად იზრდებოდით ორნი, ამადაც დაუთქვამთ, ძუძუმტენი ხართო.“

ესა სოქევა და კელავ შეხედა გამომცდელი ღიმილით ვაჟს, გაკვირვების მეტი ვერაფერი ამოიკითხა მის სახეზე.

„დღა და ისევ დაპირია წასკლა.“

„ამდენი ხანია არ შეეყრიცართ ურთიერთს, რად გეჩქარება შინ წას-ვლა, ვარდო?“

ეს უოხჩა, თვალებში ჩახედა და დასძინა:

„სხვა ვაჟს ხომ არ დააღვი თვალი?“

გაწითლდა ანაზღად დიაკი.

საეჭვოდ ეჩინა ეს გაწითლება ვაჟს. გაასენდა: როცა გიორგი მეუეს აქებდა, უცნაურად ელავდა მის თვალებში ვნება.

ქედზე წავლო ხელი დიაკს კვალინდებურად.

„ქალები ჩააქრი,“

შევეღრია ვარდისახარი კელავ.

ბრაზმორეული ერბნება ვაჟი:

„არა, არ ჩავიქრობ ქალებს.“

მარჯვენა ხელი წელზე შემოარტყა მტკიცედ, მარცხენათი გულის პირი ააჩითვა, შიშველ ძუძუებზე დაუწუო ლაციცი.

ნუო, შევეღრია ვარდისახარი, ოღონდ ღლეს გამიშვი შინ, სხვა ღროსა გავეპარები პატრიონს, მთელი ღამით მოვალო თუ გინდ.

სხვა ღროსო?

უარესად გახელდა ვაჟი.

სხვა ღროს ეგებ სხვა მომინდესო მეც.

ქალი აიღეწა.

ვაჟმა დაუყცავა.

ხელი დაავლო, ნატებით მოგებულ ტახტზე გადააწეინა.

გაიბროლა დიაკი.

მუხლი დააჭირა მეკრძალე ვაჟეაცმა, ცალი მელივით ორიცე შეუქრა, კალითაც გაუსხნა მოეის პერანგის საკინძე.

მარგალიტის ღილებს ნუ დამაწყვეტო.

შევეღრია ვარდისახარი.

ვაეს აღარაფერი ასხოვდა უკეთ.

ჩელზე ჰქოცნიდა, შიშველ ძუძუებზე ელაციურებოდა ხელით, შეწნიდა გოლეულივით ტყბილსა და გახურებულ ტუჩებს.

ხურვება შეყრილივით უცანცახებდა მთელი სხეული ტრაქტი რამდენი უბზინავდა, ნაეოცნი ტუჩები და ბაგები უნაბისფერი ჭარბდა, მიზნუ ებრძოდა ვაეს.

ისევ შეუკრა ხელები არსაკიძემ, მარცხნა ძუძუ მოვის პერანგიდან, დაუკოცნა, დაუსრისა გახელებულმა და როცა მარჯვენა გამოულო ძალით, საკოცნელად უნდა მისწერდებოდა, წამოვარდა, ხელი შეუშვა დიაცს.

„ეს რა გატყვია ძუძუზე?“

ქალი გაწითლდა, გაინაბა, ველარ წამოდგა.

ვაეი ისევ დააცემოდა მარჯვენა ძუძუს, ნაებილარები შეიცნო.

გაუმდებული ზეწამოიჭრა, მიახალა უქმეხად:

„მეძაო, მრუშო, კიდევ არ იშლი ბოზობას? არ ვეყო, რაც ვათრია ოქების მეფეებ?“

ეარდისახარი წამოვარდა. საკინძე გაისწორა. უუბნება არსაკიძეს:

„მხოლოდ ამასა ვთხოვ, ნუ შეურაცხმოვ უბრალოდ. შენ მშესა ვფიცავ, არაეისოთის გამიუყია შენი სიყვარული.“

„ჩემს მზეს ნუ იფიცავ ამაოდ, შენი დაიფუცყ. მრუშო.“

უუბნება ვაეი, კირვეული ბალლივით აბაკუნებს ფეხებს.

„დამშეიდი, დამშეიდი, — კვედრება ვარდისახარი, — ოლონდ დამშვიდი, ყოველივეს გამბობ წერილად.“

„რას მიამბობ იმაზე მეტს, რაც საკუთარი თვალით ვნახე?“

ქალი ადგა.

საკინძე გაისწორა.

სამი მარგალიტი აეწყვიტა იქვნეულს.

სად არისო ჩემი მარგალიტები?

სამიერნი მოუქებნა არსაკიძემ, ხელში მიაჩერა გაწილებულს.

„ალბათ ახალ კურის უჩუქნია ესენი შენთვის. თან წაიღე, არ დაგავიწყდეს. საჩუქრებზე ხარბი ხარ, ვიცა.“

„შორქნამ მაჩუქა მოვის პერანგი, მარგალიტის ლილებიანი, გუშინ.“

ვაემა გველიანად გაიღიმა.

ქალმა ეს უთხრა მხოლოდ:

„ოუ ჩემს სიტყვას არ ერწმუნები, ისე იფიქრე, როგორც გენებოს.“

ქალის სიმშევიდემ უარესად გაახელა ვაეი.

„სოქე ახლავე, ვისია ევ ნაებილარი, თორემ ცოცხალი ვერ განვეალ აქედან.“

ვარდისახარი მიექრა, ტუჩზე დააფარა ხელი.

„იყუჩე, შმავო, მხევალი არ ვააღვიძო, მიოთმინე, ვიამბობ ენლავე.“

„ვინც არ უნდა მოვიდეს, ყველას ვერცვი, ბოზი რომა ხარ და ვამტეხელი ფიცისა.“

კაბა გაისწორა ვარდისახარშა.

გულხელდა ერეფილი დაჯდა სელზე და უამბო ყოველაფე, რაც  
შეემთხეა სამი დღის წინად.

შეფის მალემსრბოლი მოფიდაო ხურისის სასახლეში, იმის მიუმარტ ეს  
ყოველივე.

„ის გერჩია, მოექალი მალემსრბოლს მეფისას.“

რა როცხულო—  
გიგანტის გადასახლო—

თავზე დაადგა არსაკიძე:

„თუ მჩუდი არა ხარ, რად შეუშვი უცხო კაცი მარტოხელამ შინ?“

„შენ თვითონ იფიქრე, როგორ შემეძლო ტყვეს, მეფის მიერ წარმო-  
ვზავნილი შინ არ შემეშო?“

არც თუ მარტო კუფუილვარ, მხევალი მელანია შინ იყო, მაგრამ  
დასძინებია მაგ ჩემი ცოდვით საესტეს.“

„შენ თუ არა სტყუი, მაშ არ ერქვა მაგ მალემსრბოლს მეფისას?“

ქალი დაფიქრდა. თავი პილო, თვალებში ჩააცერდა ვაქს, ყოყმანით  
აშბობს:

„ავშანისძე გლახუნა.“

؟ ? ?

ზეწამოიჭრა არსაკიძე.

„მიტომაც აქებდი მეფე გიორგის, ბოზო?“

ეს უნდოდა ეთქვა, ენის წვერზე დაიჭირა სიტყვა.

გაიფიქრა თავისთვის:

„ეიდე უარესი, გიორგი მეფე ყოფილა თავათ, კბენას არ დაუკე-  
რებდა იგი.“

ახლა საესებით დაჩრდინდა, მილალატაო წაწალმა უკილოდ.

მიახალა დიაცეს:

„აბა ადექტი ახლავე, აღარ ვნახოს ჩემმა თვალებმა, ბოზო.“

აქვითონდა დიაცე, ისევ ფერხთით დაუვარდა. მუხლებს უკოცნიდა:  
ნუ გამწირიავ, უბრალო ვარო, საესებით.

თუ შენ არ წახვალ, მე გავეცლებით ახლაცე, — მიახალა ვაეძა.

წამივარდა პირვანებული ქალი.

ცრემლები მოიწმინდა, რიცე მოისხა:

„მე წაეთ, მაგრამ შურს ვიდიებ, იცოდე.“

როცა კიბეზე ჩააცილა არსაკიძე სტუმარი, მოვარის შუქწედაც  
ამჩნევდა: მხრების თავები უტოკავლნენ ვარდისახარს.

ეს ამბავი მოხდა პარასკევს, ურჩსულის დღეს...

### XXX

Pour être plus qu'un Roi,  
tu te crois quelque chose.“

— თუ გარჩის აღმატებოთ მეფე,  
უნდა წარმოადგნდე კიცვაც რაომეს? 7

მოელი ღამე არ სძინებია არსაკიძეს.

ძალები კულტნენ ცატვების ქეშ. ეიღაც აფორისებდა რატისულ  
სასახლეს.

არსაკიძე ღდვა.

ხმალი შეკრტყა და ბალჩაში გავიდა. ხილნარში არაური აღმოჩნდა. ძალები გარს შემოერტყნენ, კუდს აქცინებდნენ, თავებს უკაცუნებდნენ, ეალერსებოდნენ ახალ პატრიოტს.

ეძინათ ყველლებსა და ფუთკრებს.

უცნაური ზუნი ისმოდა სკეპტიზმ, ძილში გალობდნენ ეს საყვარელი შეკრები თითქოს.

შორიდან, ძლიერ შორიდან ხოხბის ყიფილი მოდიოდა.

ვაჟა-ცურად ებრძოდა წიწამერის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.

თეოტი, მთლად თეოტი ლრუბლები ელავდნენ მთებზე, ეს ლრუბლები, ეს ზეთისხილისფერი მთები ისეთი გამსჭირვალენი იყვნენ, სადაცაა მოეშვებიან მიწას და გაიქნებიან ეთერზი.

მათ ქვემოდ, არავეს შეყოლილი ბარი ზღვას მიაგადა ლაზისტანის ყურეში მოვლემარეს.

ღდვა არსაკიძე, იგონებდა ზღვასა და სიყრმეს . . . . .

შინ შეპრუნდა.

ხმალი მოიხსნა, ძილი არსად სჩანდა მაინც . . . . .

ვარდისახარმა შეაშფოთა მისი გონება.

...ეს ლალატი? იგი არა ყოფილი მოულოდნელი.

ამაზე უფრო უცნაური სხვა რამე იყო: შორენა რომ არ აღმოჩნდა ძუძუმტე მისი!!!

ძუძუმტე!!! . . . . .

შზექალია?

ახლა იგონებს არსაკიძე: დედა ახსენებდა წარამარა ამ სახელს. ერთხელ აწირვენა კიდევაც მისდა სალხენად ხუცა.

იწვა ბნელ დარბაზში პირდაღმა. ისევ შორენას ეპოტინებოდა ფიქრი.

...და როგორც თიბათვის მიწურულს, სკაში გამოჩნდება თუ არა დედაუთარი ახალი, აიყრებიან, აზვავდებიან მამლები, გამოუდევებიან გაქცეულ დედოფალს, ისე წამოიშალნენ მისი ფიქრები და გასდიეს შორენას ამ წუთში.

მართალს მმობს ვარდისახარი.

თავათ იგონებს ყოველივეს წერილად. მზექალაის სიკედილის შემდეგ ლაზისტანის წაეიდა არსაკიძის ოჯახი, ხუთი წელი მანდ დაპყევს, კონსტანტინოპოლში ათიც. ბოლოს კვლავ მიბრუნდნენ ფხოვს.

ვუშინდელ დღესაცით ახსოეს არსაკიძეს შორენასთან შეხვედრა კულა. ახლად შელერებული გოგონა იყო, დაწვის თავებზე სკემდა ქურა კულულები. ხტოდა, უსტეენდა, ცელქომბდა ბიჭსავით, ფაფარზე მოვჭიდებოდა, დააჭინებდა უბელო ტექნებს.

ასასაყიძემ გადასწყვეტა: უთუოდ ენახა ამ დღეებში კოლონიკური ქალი. რაეთ გურანდუხტი მცხეთას ჩამოსულა, არ გაძნელდებოდა მოსახუნის ნახვა.

ისევე საგორგოში ფხოვში, მიუწვდომლად, შეიცლიდა კოჯორშეცვალებული იჯამში, ისე უბრალოდ, როგორც ძუძუმწერე მივა ხოლმე ძუძუმწერს სახლში. გაახსენდა: ამ კვირას იმდენი საქმე ჰქონდა, გაძნელდებოდა ასეთი ასამ. მარტოყაც რომ შექვედროდა, მეტაც რა?

თავათ ხომ ვერა ჰქითხავდა ოსაკიძე, ფიცი ჩამოართვა ვარდისახარმა. (რა ვუყოთ, რომ თვითონ ფიცისგამტრებელი აღმოჩნდა დიაცი?) როგორმე უნდა გაეგო აზაკიძეს: შორენამ თუ იყოდა ეს ყოველივე?

უცნობრი არა მოხდა მაინც: ერთის დაკვრით შეიცვალა სიყრმის მეგობარი მის თვალში.

მოაგონდა ის ღამე, სამთავროს ყვლესიაში, მწუხარის შემდეგ.

ეზოსმოძღვრის ყორინისფერი ანაფორა დალანდა.

რიდემსახმული, თავისაქინდრული მიდიოდა შორენა თავის მოახლეთა შორის. საოცარი ტანჯვის იერი გადასდიოდა სახეზე, თვალს არიდებდა ცნობისმოყვარე დიაცების ბრძოს.

მჭუნვარე ფერნამეტრთალობა განრთხმულიყო მის სახეზე, მხრებზე, შთელს ანაგაბაზე.

მოურჩიდებლად უჭერეტდნენ მლოცველები, მაინც მიდიოდა ქედმალი და გულმართალი, იმაყად მიპქონდა ბედისაგან დაკისრებული კირთვები.

ეს ვაიფიქრა აზაკიძემ და წარმოუდგა მარჩბივი ჩეუნება. ვარდისახარი ამოუღდა შორენას გვერდით.

კისკისა,

ტიკტიკა,

ფეროვანი, ჭარბენებიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული, მარად სიმდიდრის მონატრული და მქირდავი ბედისა.

მხოლოდ ვნებისათვის, მხოლოდ სარეცულისათვის ვაჩინილა ეს აშარი დიაცი.

...ეგიც კმარიდა მისეან: საყვარელი ხელიდან ეპლებოდა და სამი ცალი მარგალიტის დაკარგების მისტიროდა ხარბი.

ახლა ესეც მოაგონდა ოსაკიძეს: როგორ ეკუნტრუშებოდა ვარდისახარი კვეტარის ერთსავე!

...ავხორცი იყო კოლონკელიძე. მხევლებს, მექათმებს და ხაბაზებსაც არა ზოგადა, ისეთ დიაცების, თორნის პურის, ხინქლის და საბუღარის სუნი რომ უდისტ მუდამების.

მისი ბუშების გამარებისაგან სიცოცხლე ჰქონდა ვამწარებული გუანდუხტს, საბრალოს.

არსაკიძემ თავათ წაუსწირო ერთხელ, სამრეცხაოში მღემურობა ვარ-  
დისახარი ერისთავს, გათქირულ, შეშველ მელავებზე შექმებულ.

ხტოდა, კისკისებდა ვარდისახარი და ეს კისკისი მოვალენებდა. არსა-  
კიძეს გახელებულ ჭიბუინს იმ ფაშატისას, რომელიც მოვალენების  
ხოლმე მოძალებულ ულაყს, რათა მოშეტებულად აალელფოს შამოი და  
გაფრილებისას უფრო ხარბად დაცხრეს ვნებას.

როცა შორენა და ვარდისახარი პირისპირ წარსდგნენ არსაკიძის შარ-  
მოდგენაში, ოცთა მეცის ხარქა ყოფილი, კოლონკელიძის ქალმა დაჩრ-  
დილა ანაზდად.

ოდნავ ტლანქი, თითქმის მამაკაცური ხელები ჰქონდა ვარდისახარს.  
როცა თმებს გადაიწევდა, საქმაოდ მოზრდილი, მოყვითალო უტრები გა-  
მოეჩნდებოდა ხოლმე, ხმა ჰქონდა ბოხი, იგიც მამაკაცური ოდნავ.

ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთხი და სევდიანი, რო-  
გორც ყინწვისის შემუნეარე ანგელოსი.

კულისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წერიალა, როგორც ვერცხლის ევ-  
ნები, ხევისბერების ღრმაშის ბუნზე შებმულნი.

პარილებავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება სრულად. . . .

კედლისკენ მიბრუნდა არსაკიძე, თვალები დახუჭა, დაძინება სცადა,  
აღრე უნდა გასულიყო ხარისხებზე.

ზანზალავების ელარუნი ისმოდა შორიდან, შოლტის ტლაშუნი კეპავ-  
და ლამეს, არავეის შუილი მოღიოდა მაინც, რომელიღაც ჩიტი ავიკეი-  
და, ბულბული არ უნდა ყოფილიყო იგი, გაბმულად უსტცენდა სირი, ასე  
ეჩვენა არსაკიძეს, გულის მიჯნურს უხმობსო ბრელში.

ძალები აყედლენ სადღაც, ისევ დაეპრდა მყუდროება, ქათმებს და-  
უშვია ნონამ, ქრუნი შექი შემოადგა საჩემლებს და ძილმა გააბა პო-  
ტიკი მილულულ წამწამებზე ძლიერ.

ესმანა: შემოღომის წყნარ დღეს მი-  
დიოდა ვითომც თავითუხის ყანებში. მუხლისთავებზე სკემდა მწიფე თავე-  
ლები, ყაყაჩოები ჰყევავდნენ არგვლივ. წითელი ჯახეელი და კუნელი  
ელავლნენ აქაიქ. მუხა იდგა ველზე, შტო მრავალი და დიდი.

ქედნები შემომსდარიყვნენ ზედ.

ტებილად, ტებილად ლულუნებდნენ ქედნები...

საჩემავი რუბები ვადმოეშვათ კორდიდან. ოხვანისაგან დახეთქილი  
მიწა ხარბად სვამდა წყალს.

საცეცევის დარი დათვოულები<sup>1</sup> ვაემართათ ამ რუზე. დაქნცულ  
აქლემებსავით იანტურებდნენ ეს ამშანი დათვოულები თავს. დაესხმო-  
და წყალი ძელის მოლოს ვამართულ გვჯაზე, აყირავდებოდა ძელი, ვაღ-  
მოილერებოდა წყალი, ვაადრენდა დათვოული ფიცაზე ბრავეონს.

<sup>1</sup> დათვოულს ძელს საჭაროელოში საცეცევისდან სატროხოპელას უწი-  
დებლნენ.

კელავ შეიმართებოდა ძელი, კელავ იფსებოდა გეჯა, კელავ იღებოდოდა წყალი და ისმოდა ყანებში დათვოულების რახუნი მომრებზე.

ვანა თუ ერთი იყო დათვოული. სანამ თვალი გასწედებული ჟაფარის ყანებს, ყველგან იდგნენ დათვოულები, მთელს ხეობებით დამატებულა გაბმული რახუნი...

მოლად საოცარი ეს იყო: ამ დათვოულების მიუხედავად, მაინც გავ-სილიყო თავთუხის ყანები დათვებით. კოტრიალებიდნენ, ლრიალებიდნენ მხეცები, ტორებით თქერავდნენ პურუშლს.

მიღის არსაკიძე ყანაში, ხედავს, — შორენა მოადგა გაღმიღან რუს.

ისეუბა ისე მეკირტულად ქალმა, ისე, როგორც ნადირობის დროს ეს ჩვევოდა ფხოვში.

მოღის, მოარტვევეს თავთავების ზღვას. თოვლივით თეთრი აცვია სამოსი, სოსანისფერი საწმერთული ზედ.

თავი დახარეს თავთუხის თავთავებმა, ნაზად იზინქებიან ყაყაჩობიც ერთბაშად მოსწყდნენ მუხის შტოებიდან ქედნები, მხრებზე შეასხდნენ შორენას და მორთეს ლულუნი.

ალრიალდა ორი დათვი შორენას დანახვისას. მწიფე წაბლისფერი ერთი, ვეიმრისფერი მეორე.

ზეალმართნენ, მოალაჯებენ კაცურად, ლრიალით მიაშურეს ქალს.

მიარტვეს არსაკიძე თავთუხების ზღვას, უნდა მიუსწროს, გამკვეთოს ორივენი ხმლით, გაღაარჩინოს ვულის სწორი განსაკუთლს.

ხმალი მოიჩდა არსაკიძემ, მაგრამ გაუჩინდავს ვილაცას ხმალი. შეეტერება, — თაველების ფხა ედება ფეხებზე, მუხლები ისე დაუმიმდა, ჩაფლულათ ფისით გაესილ ზღვაში.

დათვები ლრიალებენ, ტორით თქერავენ ოქროსფერ თავთავებსა და წითელ ყაყაჩობებს, საღაცაა ეცამიან და გაბდლურიან შორენას.

„პარია“!

ყვირის არსაკიძე, მაგრამ ალარ ერჩის ხმაც.

„პარია!!! ყვირის არსაკიძე და მიარტვეს ყანას, ყანას კი არა, ფისის ზღვას. თავთუხის ფხა ებლანდება ჩოხის ბალთებზე, აღვილიდან ვერ იცირის ეაფაცი.

დათვები ფერსთით დაუწენენ შორენას, ალარ ლრიალებენ, ალარ ტორავენ მიწას. შორენამ თავზე ფეხი დაადო ერთს, საწმერთულის ტოტი გამოუჩნდა, ვაზის ფურცლებიც, ზედნაქარვი იქროთი. მერმე დასწედა ორივეს, ეალერსხებულა ორივეს ქეჩოზე.

შორიდან შესცემის გარინდებული არსაკიძე, თუ ვით ეცემება მისი უნაზესი მეგობარი მხეცებს.

ქედნები შემომსხდარიან შორენას მხრებზე, სულზე უტებებს სძლის პირებს გალოობენ, ნაზად იღრევენ წითელი ყაყაჩობი კლერტოებს, იზინქებიან ოქროს თაველები. თაყეანსა სცემენ სანატრელ სასძლოს.

დათვები მის ფერსთით წეანან, ენებამორჩული აფასულებენ/თვალებს.

სწორედ ასეთ დროს გააღვიძია არსაკიძე ნონამ.

დარბაზში მერთალი შექი იღვა.

აბრძანდი, ბატონო, მორიელებმა გამოსტეხეს ქვიტყირი.



ორი ცუდი

პირი მოვა

### XXXI

„...ედუხის დღესა განსაკუთრელი მოსალოდნელი“.  
უარისშიან სპარსის ხაშთვარითან

შიში უცხო იყო არსაკიძისათვის.

რა დროს მორიელებია? დამიცალეო ძილი.

„თუ არ გვერა, ავერ გაჩვენებ, ბატონო“.

ესა სოქვა, ორი მორიელი აჩეენა ჩხირზე წამოვებული ნონამ.

არსაკიძე გაოცდა.

„ერთი ჩემს სამყოფში მოვყალი წუხელ, ერთიც ამ დილით, შენი სის-  
თაულის გასწერივ“.

არსაკიძე წამოცდა.

ჭალები აანთეს, გოგირდი დაახრჩოლეს. სიხრიეს. დიღი დარბაზის  
კულები, სასტუმროს, საწოლის, მხევალთა სამყოფლოის ხვრელები და  
პუშკიურტანები, ევლარსად ნახეს სხვა.

ჭალი აიღო ნონამ, ეგებ სარდაფში წაეთჷვდეოთ რაიმეს. ობობის ქსე-  
ლით დაბაძანდული იყო ირგვლივ ჩველაფერი.

ობის სუნი იღვა სარდაფში.

დაეანგული თორები და ზუქები ეკიდა კედლებშე, კაცისა და ქა-  
ნის ჯავშანები, უნაგირები, საბარკლენი, სამელავენი, პოლოტიენი და  
ბეჭთარნი, შუბები, წათები, ხარჩა და ქიმურჯინი, დიდ-დიდნი, სამრიოლო  
ბოძალნი, ჯიხვისა და ირმის რქები, ჩუგლუგები, დაეანგული ხმლები.

ლამურებით გავსილიყო იქაურობა.

თავევ ეკიდნენ მღვიმიბები ქერქი, ჭალის შექშე დატროხნენ, წრი-  
პინი ასტეხეს, მორთეს ჩიალი ირგვლივ, აწყდებოდნენ ქერსა და ქედ-  
ლებს, ტყაპანით ძირს სცეივდნენ ზოგნიც, ფართხალებდნენ საწყალობ-  
ლად მტცერში.

ერთ კუთხეში ირანული განჯინა იდგა, სადაცებით მოოქეილი. ძვე-  
ლი ეტრატები ეყარა ზედ, ხატების ნამუსრევი, ძველებური სამაჯურები,  
აზარფეშები და ფიალები.

სიძველეთა მოყვარული იყო არსაკიძე, მორიელების ამბავი გადააციწყ-  
და, განჯინას შიაღვა, ამ ძველ ნიეთებს დაუწყო ჩხრეა.

სათითოოდ ხელში იღებდა, შტერს აცლიდა, უჭირეტდა, თარიღებსა  
და წარწერებს უთვალთვალებდა.

ფიალებს შორის სავსებით უწნაური ნივთი იპოვნა ერთი, მტცერსა და  
ღინგელში ამოვანგლული სწორებდა.

კასტრინდა, ლინგელი შემოატა.

ეს ომონიმურა ბეკლისლარი ტვიფური სპილენძისა, მელის სახე თუ  
ამოშტრილი ზედ. ერთიანება

„ეს რაღაა, ნონაი?“

ପ୍ରକାଶକ୍ରମ ମହିନେବାଲ୍ଲବ୍ଦ.

ନେଣଙ୍କ ଲାଭପୂର୍ବିରୁଦ୍ଧ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କୁଠାରୁ ଶ୍ରୀଶ୍ରୀରାଧା ପାତ୍ରଙ୍କାମି ମିଶ୍ରଙ୍କାମି ହେବାରୁ.

ამ მოეშვა არსაკიძე მხედვილი.

ଏହି ଅନ୍ତର୍ଦେଶୀୟ ମହାଦେଶକୁ ମହାଦେଶକୁ ଆପଣଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରରେ, — ଅଧିକାରୀଙ୍କ ମହାଦେଶକୁ

„სესვე შეიცვლა არსაკიძე ნონაის, უნდა მამული თუ რას ძრასწავებათ  
ეს ტვიფარი მეღლის სახისა?

ბოლოს კელარ დაიტია სიცუმლო დიაცეს გულმა.

“ეს მოხდა უამიანობის წელს, მე თბლად მოყვანილი ვიყავი აფხაზე-  
თიდან ამ სახლში. ხუთშაბათს, ოებერელის სამს, ნაშუალამეცს, სამჯერ  
იძრა მიწა.

ღართის კარის ციხე დაზიანდა იმ წელს. სამეფო პალატები ჩამოიქცა უფლისციხეში.

მეტე გიორგი ლეში იყო, ასარ მახსოვეს ვის ელმიგბორა მაშინ.

სამი ქვირის შემდეგ უამიანობა დაიწყო, მამათა მონასტერში დიღმა-ლი ბერი იმსხვერპლა სენმა, უამშა მოქელა მცხეთის მიტროპოლიტი ითან.

ბოლოს მეცინოვნე ლაშქარის მისწერდა ის წყეული. ერთ თვეში ათა-  
სამდე მონა-სპა დაიხოცა არავეის კარისა და მუხნარის ციხეებში.

მუცელით მეშვეობაშერენი მეორედ მოსვლას აუწყებდნენ ხალხს. ქადაგად დავარდა დაყუდებული ბერი, ანთიმოზ.

ଶାଲ୍ପକ ଓ ଶର୍ମିଳା: ମହିଦାଲୁଦିଲୁହାରି ଅନୀଳନ ମହିଦାଲୁତାଶି ଲା ଏମିଟ୍ରିମିଂପ ଗାନ୍ଧିଜିଙ୍କ-  
ଦ୍ୱାରା ଉପରେଲାଗା.

შესტრილ იქნა მელქისედეპ კათალიკოსის წინაშე ხურის აბულელი და მისი სახლოւზუგისათ რატი.

სურსი ვერ შეიძყრეს, ჩადგან ჯერ კიდევ სარკინოზებთან გაქცევამდის, მთიულებთან იმაღლებოდა ხერსი. მოგეხსენება, დაბალ ლობეს უმალ მისწფლებიან.

ფიწვებით შეიარაღებული ბრძოლი შეუცველი სასახლეში ჩატის, მცირე ხანს იმ კოშკს შეაფარა საცოდავმა თავი, სწორედ მაშინ მოარლვიეს ჩატის კოშკს, კუჭხლი შემთავზუნეს, გამოიყანეს ძრიეს.

କିମ୍ବା ଉନ୍ନତିରେ ଯାଏନ୍ତି ମାତ୍ରାକି ମେଲ୍‌କିଲ୍‌କୁଟ୍‌ର୍‌ପାର୍କ୍‌ରେ ଶ୍ରେଣୀଗତିରେ ଥିଲୁଗାନ୍ତିରେ ଅବିଭିନ୍ନତାରେ.

స్వామి కృష్ణత్వార్థికి ప్రాయంలో నీచినది.

এই সারিকুলারের শেষমোত্তরণের পরের ক্ষেত্রে,

ეგ ტფიფარი გაახურეს ცეცხლში, მელის სახით დადაღუნა მოვორც  
მწვალებელი და სატანის თანაშიარი.“

„შენ რა გვინია, ნონაი, ახლა, ბრალი თუ მიუძღვიშვა რამე?“ ასტის  
შეეკითხა არსაკიძე.

„მენა? მწვალებლობისა რა მოვახსენო, ბატონო, ერთი ბნელი დააც-  
გახლავარ მენა, ან ამდენი სად გამეცება, მაგრამ ეშმაკი, რაც მას ვემსა-  
ხურჯობოდა ათი წლის მანძილზე, ეშმაკი თვალით არ მინახავს ამ სასახლე-  
ში, მენა“. . .

არსაკიძე დადუმდა.

კვლავ თღო მელის ტფიფარი ხელში, ახლა უფრო დაკორეცებულად  
დაუწყო ქრისტია.

ნონამ ყოველ კუთხეში დაახრიოლა გოგირდი.

\* \* \*

საუზმის დროს ისევ მორიელების გამო ჩამოაგდო ნონამ სიტყვა.

რატის ვაჟი, საცოდავი ვაჩე დაკარინესო ამ სარდაცვში მორიელებმა.

„ოდიოთგანვე წყველი სდებია რატის ოჯახს, მესამე მუხლის ნაშეირ-  
თავანს ყოველს, მორიელი დაგვესლავდა თურმე“. . .

გულში ვაელიმ არსაკიძეს ამის ვამგონქს, მაინც მოლომდის მოუს-  
მინა მხევალს.

„ნადირობიდან მობრუნებულიყო რატის ვაჟი ვეინ, შესულიყო სარ-  
დალში, აფათურებდა სიმელეში ხელს და სწორედ ამ დროს მისწევდენ-  
და მორიელი თურმე.

და ეს მოხდა ურჩხულის დღეს“...

ნალვლიანად დასძინა ნონამ.

ურჩხედა არსაკიძეს მხევალი:

„ვიორეგი მეუყე დიდად გწყალობს, ბატონო, სოხოვე სხვა სისახლე მი-  
კინოს საღმე, თუ მეც თან წამიყვან, ხომ კარგი, თუ არა და ვევარი  
გწერია ჩემის თვალისაგან, მე მაინც ვამწირული ვარ, ბატონო, სხვასაც  
ბევრს შეაძლიეს ეს სასახლე შენამდი, არაერთ დაღვა ამ წყეულ სახლში,  
მხოლოდ შობილი ხარ დედიშენისა, მებრალები ვაჟები, ბატონო“. . .

გაიღმიმ არსაკიძე:

„ექ, ჩემთ ნონაი, მე ხმლით სიკედილი დამითქვა მუცლით შეზღაპრებ  
ერთმა, ასე რომ მორიელის გვესლი ვერას დამაკლებს“. . .

არსაკიძე აღვა, წასელა დაპირა.

შეეეედრა ნონაი, — ცუდი სიზმრები მქონდა, ბატონო, ნუ წახეალო  
სამუშაოზედ დღეს.

სამაგიროდ მე მქონდაო კარგი სიზმრები, — გაიკინა არსაკიძემ.

შინიდან გამოსულმა პირვევარი გადაიწერა მაინც.

ნისლი დასწოლოდა ხილნარს. გიმრის თრიამენტუბიერი მოსჩანდნენ  
ტოტები და შტოები. ფოთლებს ხილურჯე გასცლოდა, მდელოს გახუ-

ნებოდა ფერი. ცეარის ნიუარები ცახცახებდნენ ყვავილების სათუზ/წამ-წამებზე.

ჯანყს დაეპურა მოები.

დაძრული იყო ნისლი კავკასიონის თვალშეუდგამ ქართველებისთვის. ამ-ობებიდან, ლრანტებიდან გაღმოხვეწილი გამოპოლოდა ასაგრძელ ხეობას, და აეცის ქვეყანა არმერით...

თემშარიზე გასულს ზანზალაქების ელარუნი მოესმა. ქიმერებივით მობოლავდნენ აქლემები ნისლში. გამვლელები დალასლასებდნენ ის-გვლივ, როგორც ლანდების უცნაური ბერივიობა.

ალარა სიანდნენ მეფისა და კათალიკოსის სასახლეები, მათი შიმდგომი გალაქები, ციხე-კუშეები, ქიონირები, ქარებისლები, ფანჩატურები.

ცისკიდურებზე ნაჩრდილევიც ალარსად იყო.

ამ ნისლში ჩაფლულ სასახლეებს, ციხეებს და ფანჩატურებს, კველის ზედ დასცემერიდა სვეტიცხოველი.

ნისლს ვერ დაეფურგნა მისი უცნაური ტანკენარობა და ისეთ წუთებ-ში, როცა შენობებსა და ხეებს, კაცსა და ცხოველს, კუვილსა და ფო-თოლს, კველის გასლოლდა პირველადი მშვენება და ხალისი, იდგა ეს ტა-ძარი უფრო დიდებული, ვიდრე ნამდვილად იყო ამ წუთში.

წვრილმანი ზადი ნისლს დაეფირა, ხოლო ანაგობას მისს ვერ მორე-ოდა იყო, ასე რომ შორიდან მაცეკერალს დასრულებული ეგონებოდა ტა-ძარი.

ევმის მანძილიდან შესცეკეროდა გახარებული ოსტატი თავის ქმნი-ლებას.

„როცა კველაფერის წვრია წარხოცავა, როცა კველა ხმის ქარი წა-ილებს, სვეტიცხოველი შეიმიტებს დიდებას კიდევაც.“

მართლაც და სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არ წამიერის მარადე-მულად ქუევა? სხვა რა ევალება ამ ქვეყნად ოსტატს, თუ არ ჭიდილი წარმავლობის ნისლობა?“

გადაელახა ზედაზენისა და არმაზის მოები, ტაშირისა და ტაშისკარის-კენ დაძრულიყო ნისლი.



ტაძრის კარიბჭესთან უხიავი ამბავი დაახვედრეს ახალი: გუმბათზე ფიქალის დაგრძისას ფეხი დაუცურება თურმე კირით ხურის კარისს სტეფანოზს, მიწამდი არ დაპყოლია მავ უბედურს სული.

შემზარავ სამახაობას წააწყდა ხურითმიმდევარი მეფისა. ტვინი და თმები ურთიერთში აღრეულიყო. არსაკიძემ ბრძანა და ტაძარში დაასცენეს მისი აღლებებილი ნეშთი. ტაძრიდან გამოსულს სამცხელი მონები შემო-გვიცნენ გარს.

უმი მხალის მეტს არას გვაჭმეულ, ალარ არის სამუშაო ლონე.

ასისთავმა შემოსჩივლა: ცამეტი მონა გაგვიძება წუხელი.

„წავალ, ვინახულებ განმგეოთუხუცესს, ეგებ საკეთი მისუქჩო/რიგიანი მონებს“.

ეს გაიფიქრა არსაკიძემ, გამობრუნდა გულარეული გალავნის კარტბორ კალატოში შემოუყარა უბაახუცესს შემთხვევაში სალა-მოს ბერძენს მუშებს გვცემეს ლაზებმა.

კირითხვროი ბოლოვია ახმობინა არსაკიძემ. გულმართალი კაცი იყო ბოლოვია, ლაზი.

დაამოწმა მოხუცმა: მართლაც სცემეს ლაზებმა ბერძნებს. ისიც და-მინა: ჩვენს ლაზებს მიუძღვდათ ბრალი.

ახალგაზრდა მონა წათავა წასტანებია ბერძნის ულუფა ოსპის წვენს.

აყვირებულა ოსპის პატრიონი. წათავას შემოუკრავს და წაუქცევია ბერძენი. ბერძენს ბერძნები მიშველებიან, შემოკრებილან ლაზებიც, წა-სარჩლებიან ლაზის, ვაკლახად მოუკერავთ ბერძნები.

არსაკიძემ სასტიკად დატუჭა თვისტომნი და გავიდა ტაძრის ეზოდან.

მშეს ყური ამოვეო უკვე. ჯერაც ისეთი ყვითელი იყო იგი, როგორც კერტცის გული რეში ნახარში.

ნელნელა გაიფარტა ნისლი, ჰაერი ამღვრეული მოსჩანდა მცირე ხანს, როგორც არავე საგაზაფხულო დიდროაის ემს.

ციხეების კბილოვანი ქონგურები გამოჩნდნენ ცისკიდურებზე, კოშკე-ბის, სასახლეების, ქარვასლების ზეთავები მოიხატნენ ცაზე.

ჯერ ნაშშირისებრი მრუმე ხაზებით ვარსმოვლებულნი მოსჩანდნენ ისინი, გამოხდა ხანი, მუქი სეირინგები გაიცრიცნენ მინისტერ ფონზე.

ლაინისფერი და ისლური ებრძოლნენ ურთიერთს ცარგვალზე მცირე ხანს, ენდროსფრად შეიღებნენ დურაჯისფერი ქულები, ქრაველებიერ მიმობნეულნი ცაზე, ბოლოს სოსანისფერი წამლებით შეღება ლრუბლები უჩინარჩა არსა მხატვარმა, იფეთქა ფურცლოვანში სიმწვანემ და აფ-ლურტულდნენ ჩიტუნები საძოვდ.

სასახლის ბალში ფარშავანგები ჩხაოლნენ უქმეხად.

ნაშეაღლევამდის უკადა არსაკიძემ განმგეოთუხუცესს. მერმე ასე უთხ-რეს: უფლის ცახიდან მოველითო, მეტრე ხნის შემდეგ თუ შემოივლი, აქ დაგხედებათ უკიდოდ.

თავი სტეირდა ღმმენათეცს.

ასე იფიქრა:

ბალში ვაცოვლი, გამიაროსო ვინძლო ტკივილმა.

ალუჩების მწვანეში ბულბულები უსტეენდნენ. წინა ღამით დაწუ-ბულიყო ხეხილიდან კვავილების ცვენა.

მიწის წვენით დაბერილი კვირტები უღიმოდნენ მშეს. თოვლის ფიფ-ქიერით მოეჩითა უკავილთა ნამუსრეეს მიწა, ანლაც მოციალებდნენ ისინა ჰაერში ამოდ. მშელები დაჯირითობდნენ ბალში.

კოლონკელიძისეულ ირმებს თვალს შეფავლებო, ეს გაიფიქრა არსა-კიძემ, საჩიხესკენ მიმავალს დაადგა ბილიქს.

საჩიხეს ფალანგთან სეფე-მოახლენი დაუბედა სამნი. ვერც ჭრია  
ველიარ იცნო ლაშმა.

ერისთავის ქალს გახლავართ, ამბობდა ჭორულიანი მოახლე.  
საჩიხეში შესულიყო თავათ შორენა. ეფერებოდა, თვალებზე ტურისტები  
და ნებიერის. გარისძებული იდგა ლომისფერი ირემი, ალერგიანი თვა-  
ლებით შესკეროდა თავის გამშრდელს.

აღაშიანისა და ნადირს უსიტყვოდაც ეპოვნათ საერთო ენა.

ნესტოები დაბერეოდა ნებიერის, აპაუნებდა გიშრისფერ ჭლიკებს.  
მხოლოდ მაშინ მოიხედა შორენამ, როცა ირემი შექრთა უცხო პირის  
მიახლებისას.

ველის ყაყაჩისავით შეუწითლდა ლაშვები ქალს. თვალებიდან იელვა  
ზღვისფერმა სილურჯემ.

გახარებულმა მიაძახა:

"უტა!"

ეს პირ ბავშვობაში შეტემეული უბრალო სახელი, არამედ გაცი-  
ლებით უფრო ტკბილი, ვიდრე მოგონება სიყრმისა, დედის ალერგის  
იტევდა იგი, დალუპული მამის გლოვის, ლაზისტანის შშობლიური ზღვის  
შრიალს, ფხოვში გატარებულ სიჟაბუკის ლხენას.

ამ სიტყვაში კვლავ განეცხადა მას ის ბედნიერი წუთები, როცა პირ-  
ველად შეხვდნენ ისინი ურთიერთს ფხოვში, როცა არც ერთმა მათვანმა  
იცოდა, თუ რა იყო მათ შორის ქალი და ვაჟი.

ახლა?

ახლა უკვე დობილის ხმა როდი იყო ეს, არამედ ძახილი ქალისა.

არსაკიძე მიეჭრა, მაგრამ კვლავინდებურად გადახვეცა ველიარ შეპბე-  
რა, ორივე ხელი დაუკოცნა სახეალეშილმა.

შორენა გაოცდა ანაზღად, მაგრამ არა უთხრა რა, მარჯვენა ლოფაზე  
აკოცა ვაჟს.

მყისეე შეამჩნია ყვაეილის მიერ ოდნავ დაკუნკილი სახე. ეკითხება  
შემკრთალი:

"რა მოვივიდა, უტა?"

არსაკიძეს არც კი ახსოედა, ნაყვავილევი რომ აჩნდა სახეზე, იფიქრა:  
კველებურად რომ არ მოვეცეი, ეუცხოვო, ქალს, ალბათ.

"რათ, რას იყითხავ, შორენა?"

"რა მოვივიდა სახეზე, უტა?"

"ყვაეილი მოვიხადე მცხოვაში."

"ვინ ვივილიდა, ბედშავო?"

"კომიტუში ვევდე უპატრონოდ, გარე უბანში, მონაზონი მივლიდა სა-  
მაღლოდ ერთი".

აჩაკეიძის თვალი შორენას ანგობას მისწვდია.

აღმისის ჭუდი ეხურა ერისთავის ქალს, კევრის ქათიში ზედ ეცხ,  
მარგალიტის საყბეურებით და ხოხბის ყელის ფერი საწმერთული, ოქრო-  
მკედით ტოტებმოქარგული.

წინა ღამის სიზმარი მოაგონდა ოაზდად, ყაყიშობისა და ~~თე~~ თევედების თაყვანისცემა, თავთებისფერი თმები ჰქონდა შორენას, თვალებში უძლავდა ღაზისტანის ზღვისა სილურჯე.

### გაოცდა

გაოცდა არსაკიძე: ჩა მაღვ ამისდათ ზმანება. პირების თავის

ფაქიში იყო ამ დილითაც იყი, როგორც ქერუბიმის ფრთენი, ხმა ჰქონდა წერიალა, (ცერტბლის ეკენები, ხევისმერების დროშის შებმულნი...). როცა საჩიხედან გამოიღოდნენ, მოახლეების სახეშე გაოცდა ამოიკითხა ღაზმა.

სხანდა: უკვირდათ კიდევაც: რად მიესალმათ ასე ტუილად ქრისთავის ქალი ფილაც „ფეხოველს“, კირით მოთხურულ ჩოხაში მორჩიულს.

### დაწინაურდნენ.

მოახლეების ერთობა იქითხა ვაემა.

„დედოფალთან ვიყავი წევეული, სუფე-ქალები თან გამომატანა ნები-ერას სანახავად წამოსულს“.

ნეტარების ღიმი ქაბრებოდა არსაკიძეს სახეზე.

დაცვარულ მწვანეში მხიარულად უსტვენლენ სირნი, ერიამულით ეგებებოდნენ ნისლის ზღვიდან შშვილობით გამოსულ მშეს.

ახლა მოაგონდა არსაკიძეს, მზის დაპნელებას მოელოდნენ ამ დღისა-თვის ვარსკევლავთმრიცხველნი. გამტუნდა ფარსმან სპარსის ვარაუდი ამ ჯერად.

მიღიოდა არსაკიძე შორენას გვერდით.

ჰამო იყო მისი სუნთქვა და მისი ხმა, ნაზი და ველური იერი ჰქონდა თავათაც, უფრო სანუკველი, ვიდრე სავაზაფხულო ნელსურნელება მი-წისა.

ჭარამარა ახსენებდა არსაკიძის ლაზერ სახელს. ძევლებურად ეტია-ტიკებოდა „უტას“, როგორც ნაძმობს, როგორც ძუძუმტეს.

მხოლოდ ერთმა ამბავში გააოცა არსაკიძე ფრიად. სიტყვაც არ დაუძალეს თავის დანიშვნის გამო, არც ვირშელი უხსენებია, კველის ციხის პატრიონი.

ვარდისახარა მოაგონა რატომლაც.

მომავალ კვირას ვათხოვებთო ვარდისახარს.

არსაკიძემ დაიჭირა ვამომცილელი შემოხეტვა ქალისა: ჟველაფერი ფი-ციო, რაც რამ მომხდარა თქვენ შორის ოდესმე.

ეს ამოიკითხა მის მშერაში ვაემა.

გულის ვარედ შეეკითხა არსაკიძე:

ვის მიათხოვეთო ვარდისახარი?

„მეფე ვიორების ბრძანებით, ფარსმან სპარსს“.

მცირე ხნის დუმილის შემდევ დასძინა ერისთავის ქალმა: „მხოლოდ ამ დილით დაითანხმა დედამ, ასე ამბობდა მანამდის: მონაზნად შეედგე-ბი, ან არა და არაგვში დაეისხობო თავს“. მეფეს სასახლემდე მიაცილა კოლომელიძის ქალი კონსტანტინემ.

გამოთხოვებისას ეუბნება შორენა:

„ხურსისულ სასახლეში გვინახულე, უბა“.

მიღიოდა წაბლების ხეივანში. ყოველ წუთს თვალშინ ეფრა მორჩნა. მისი ხმა, მისი სუნთქევა, ჯერაც არ გაყროდა არსაკიძის ცნობილი მომავალი.

ასე ეგონა: გვერდით მომყვებაო კიდევ, ახსენებდა თითქოს მის ლა-ზურ სახელს, ავონებდა სიყრმეს, სიჭაბუკის შეწყვეტილ ლხენას, დედას უნაზესს, ფხოვურ მაღალ ცას და ლაზისტანის კამკაბა ზღვის.

ისევ მოესმა სივრცეში შორენას ხმა, ისევ იელვა მის წინაშე ზღვის-ფერში თვალებმა.

უშაკვრი იყო მისი შემოხედვა, ზეცის რეკვესავით ჰამო — მისი ხმა.

„მართლაც, მართლაც ლირსია შორენა, ველის ყაყაჩოები თაყვანსა სცემდნენ, ოქროს თაველები თავს იღრულდნენ მის წინაშე და უმძვინ-ვარესი მხეცები ეგბოლდნენ ფერწოთთ სანატრიელს“.

ასე ეგონა არსაკიძეს ამ წუთში, საესებით ახალი ადამიანი შემატე-ბოდა მის ცნობიერებას. იმარა პევდა იგი ფხოველ ძუძუმტეს, ხელა-ლად შობილათ ეს ქალი მისთვის, ამ გაზაფხულის მშვენიერ დილას.

\* \* \*

სხვა რამცუ უკვირდა არსაკიძეს:

„დარღისახარი... ფარისმან პარის?...“

ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე მსაჯულთუხუცესის მიერ წვეული იყო ფარისმანი, რაღაც საშინელი ბრალის გამო პასუხის საგებლად.

ახლა ვაზირებს ვადაუწყვეტიათ მისი დაოგახება, თითქოს რომელიმე დიდი ერისთავი ყოფილიყოს ფარისმანი, ისე გულმოდგინედ ეკიდება მის დაქორწინებას მოელი სასახლე.

„უკილოდ მოსჭორა დიაცმა გლახუნა ავშანისძის გამიჯნურების ამ-ბავი. სეფექტლები რამ გამოლია სასახლეში, ოვსთა მეფის ხარჭაუფილს რომ არ დასხმოდა გიორგი მეფე თავს!?”

მხოლოდ ეს იწვევდა ნატამალს იჭვისას: ბებერ ფარისმანს უინ მის-ცო საკენი კბილები?

ან გიორგი მეფის შერქმეული სახელი „გლახუნა ავშანისძე“ საღ ვა-იყონა ვარღისახარმა?

ამ წუთში სამუდამოდ შესძიგდა ეს ქალი.

ინანა: ფხოვურ ცას ქვეშ გატარებული ტყბილი ლამები, ინანა თავი-სი პირველი ვნება ამ „უსირცხვილო სიძვის დიაცის მიმართ“.

### XXXII

განმგეთუხუცესი უქვეირპირო კაცი აღმოჩნდა. უკმეხად მიიღო ხე-რომმოძღვარი მეფისა.

კურდლის ტყავის ჯუბაზა ეცავა, ზანტად აფახულებდა ლოპინარის-ფერ თვალებს. უშაიმაზარ სელზე იჯდა სახელაჭმულენილი, უკბილო ბებერი.

რევენულად შესცემულდა არსაკიძეს თავის დაფანჩულ, თეოზი ჭირბებიდან.

ქუშიშომჯედარ ცხრისავით ქშინავდა, უსიტყვიდ უსმეწრდა არსაკიძეს. როცა მოსხენება მოათავა ლაზმა, თავი იღო ბერიკაცებზე შექაფე ჰემო-იდგა ყბაზე და უგუნებოდ შეეკითხა ხეროთმოძღვარს:

„ოსპის წვენის გამო წაგიდებულან ლაზები და ბერძნები?“

დიახო, დაუდასტურა არსაკიძემ იმ იმედით, საზრდოს გამოუცვლიანობინებს.

„ალბათ გემრიელი ყოფილა ოსპის წვენი, არა?“

ესა სთქვა, უდოსავით დაგრეხილ, თეთრ ულვაშებზე ჩამოისვა პეშვი. მერმე დაასწრო სტუმარს, სელიდან წამოდგა და გესლიანი ღიმილით ეუბნება:

„ეს იცოდე, კაბუკო, მაძლარი მონები ურაუერს შექმნიან კარგს. ეს ცხებები, ეს კლესიები და ეს სასახლეები შშიერების მიერაა აგებული.“

სახეში შეაჩერდა არსაკიძეს და ეკითხება:

„შენ ლაზი ხარ, ხომ?“

ლაზი გახლავარი, დაუშორდა არსაკიძემ.

„თუ ლაზი ხარ, ეგეც გეცოდინება, კაბუკო, სადოდე ცხენი თუ გააძლე, ჰელოზე სხვა მიასწრებას უცილოდ, მწევარი თუ გააძლე, კურდლელს ვერ მიეწევა, მგელი რომ მგელია, მგელი რომ მშიერი არ დაძრწოდეს, მაյე ცხვარიც ვაასწრებდა უთუოდ.

ხალხი თუ გაძლა, კაბუკო, ეს იცოდე, ლოცვასაც მიატოვებს და შრო-მასაც, მაშინ ალარც ციხებები გვექნება და ალარც ეკლესიები...

ჰი, ჰი, ჰი“, — ჩაიხვისეინა ბერიკაცმა. ნადირისებრი ღოვები გამოუჩი-და რიჩ.

იდგა მის წინაშე არსაკიძე მღუმარედ, წასვლა ეჩქარებოდა, მაგრამ ვერ გაებედნა ნაბიჯის გადაღვმა. ახლა ლირკილოებზე წაეპოტინა ვან-მგეთუხუცესი.

„შენ ქრისტეანი ხარ, ხომ?“

ქრისტეანი ვარო, ეგეც დაუდასტურა ლაზმა.

„აბა ერთს კიდევ გეტვი, კაბუკო, განა თუ ჩემი გამონაგონია ის, რაც ვითხარი. უფალი ჩვენი მაცხოვარიც ამას ასწავლიდა ხალხს.

უდაბნოში შიმშილობდა თავათ, შევიზუდებასაც აშიმშილებდა. იგიც ხომ გახსოვს, კაბუკო, ხუთი პურითა და შეიდი თევზით რომ გააძლო მან ბევრზე ბევრი?

რაჯი ქრისტეანი ხარ, ეგეც მართებულია, რომ იცოდე, კაბუკო: ხალხს სამი რამე უნდა ასწავლოს ერთს წინამდგომში ყოველმა: შიმშილი, ლოცვა და შრომა. ხოლო როცა შეეხება ოში, ოში აზნაურები წაასხამენ მონებს.“

(დასახული შემდევ ნომერში)



მეცნიერ ახალიძე

## თელავის შიხის ღვაგანდა

„განიფრთხე მილი, ზე აღსდეგ,  
შეიარყე წვრილოვალა რეინისა“.  
თუშ-ტუშ-ხევსურთა გლოვა  
ერევან მეორიხა

საღამო ჩრდილებს სანამ არ დახრის  
ვაღებულია სამგან ჰიშეარი,  
ხალხით სავსეა პატარა კახის  
ნაღარბაზევი და ნაციხარი.  
დაბინდებამდის სინჯავენ თვალით,  
ბრქუფიალებს მინა და საჭურველი,  
თვალს სჭრის ნაკედი რეინა და რვალი  
და შეწყობილი მალლა ჭურქელი.  
დაღამებისას დაზავენ ჰიშეარებს,  
დაავიწყდებათ სანთლის ანთება...  
მეფის სურათი აპყვება ფიქრებს  
და მტრის შემოსელა მოელანდება.  
დახედავს: ხმლები თვლემენ ორ წყებად,  
ოთახებს სძინავთ ბნელფანჯრიანებს,  
უცებ წვრილოვალა კედელს მოსწყდება  
და მუზარადებს შეაზრიალებს.  
გაღმოვა ლანდი, ცეცხლოვან აჩრდილს  
შუქი დაჩება ნაფეხურებად,  
ტანს მოაღება პერანგი ჯაჭვის  
და თავს ჩაფხუტი დაეხურება.  
მძიმე ლითონით სახეს შებურაეს,  
ხმალს ხელს დაავლებს მტყერში ნადებარს,  
გამოიჭრება გარეთ ვეფხურად  
და გალავანზე შემოვარდება.  
შედგება კაშეთან, ვით ნატყეიარი,  
გაჩირალდებულს გახედავს თელავს,  
უკვირს, რაღა დროს თიბათვე არი  
და ველაზ დათველის ციცინათველის.

არ გუგუნებენ, უკვირს, ზარები,  
 არ ისმის ჩეხვის ხმა ასპინძური,  
 ალარ შემოდის გულის ამრევი,  
 საჭურისების დასტა ბინძური.  
 სამხრიდან ურდო არ იდერის რისხეით,  
 არ მოჩანს ხანძრის ბოლი დასავლით,  
 ალაზნის ცელზე ვაზი ურიცხვი  
 ჩამწერივებულა როქის სპასავით.  
 და ნაციხარში სძინავთ ფარ-შუბებს,  
 ცახცახებს კოშკის ჩრდილი ცალთვალი,  
 ხელდაბლუჯულ ფარს დინჯად დაუშვებს  
 და ჩაფიქრდება დიდი სარდალი.  
 მერე ჩრდილოეთს გახედავს წამით,  
 სამაღლობელით და სიხარულით,  
 წავა მშეიღად და გაქრება ღამის  
 უცხო ჩვენება აბჯრის ჩხარუნით.  
 შეაზრიალებს მუზარაცს თურმე,  
 როცა ყუცხლოვან თვალებს სცილდება,  
 ჯაჭვი კიდელზე მოძებნის ლურსმნებს,  
 დაეკიდება და შესცილდება.  
 გაელვიძება ხმაურზე დარაჯეს,  
 დაეკარგება ძილის გუნება,  
 თვალს ვააყოლებს აჩრდილებს წყნარად  
 და სიზმარს ვეღარ დაუბრუნდება.





კანონული ეკიმობი ჩხილვაძი

## ახალი ხელისხმობის

რიცხვი 1<sup>1</sup>

თავი მიმღები

სალვამინისტრი დაარსდა კოლექტიუმი. პირველად ორასამდე წევრი ჩა-  
ეწერა. ჩქარა ახსნა-განმარტება მოყიდა ცენტრიდან: კოლმეურნეობები  
ნებაყოფლობითს საფუძველზე დაარსეთ, და ბევრი გავიდა მეურნეო-  
ბიდან.

იმისათვის გამგეობის თავმჯდომარეობა ბონდო თჩიგავას და-  
აყისრებს. უფრო მეტი: ჩამოყალიბებიდანვე სალვამინისტროს კოლმეურნეობას  
„ბონდოს კოლექტიუმი“ დაარქვეს, მეურნეობის წევრებმა — პატივსაცე-  
მალ, განდგომილებმა კი — ყბად ასაღებად.

შეუდგნენ შუშაობას.

პირველი იქნიში, რაიალმასკომის თავმჯდომარის მითითებით, კოლ-  
მეურნეებმა სოფლის ეკლესიის შენობაზე მიიტანეს. გამგეობას ასე და-  
ადგინა: „ვინაიდან კოლმეურნეობა „ვანთოადს“ გაერთიანებული მუშა-  
საქონლისა და სამუშაო იარაღისათვის ბონდელი და საწყობი სჭირდება,  
გალმოტრინილ იქნას სოფლის კელების შენობა თემის ცენტრში და გამო-  
ინახოს შესაფერი ფართობი შენობის დასაღებელად“.

უართობიც ჩქარა გამონახა გამგეობამ.

ხენა-თესების დრო მოახლოებულია. „ვანთოადს“ ჯერ ერთი ღერი ფი-  
ცარი ან გააჩნია შენობების ასაგებად. განკულაკებულებს სახლები ჩამო-  
ართვეს, მაგრამ დარღვევას და გაღმოტანას ერ ახერხებენ. გასაჩინორე-  
ბული გვაქვს დიდ მთავრობაში, დაგვაცადეთ, სანამ პასუხს მიიღოდე-  
დეთ, ამბობენ განკულაკებულნი. გადასახლება, კოკი ჩახაისა და კვა-  
რაცხელისა გარდა, ყველას მოუხსნეს. იქნება ქონებაც ქე დაუბრუნონ, —  
ფრთხილობენ კოლმეურნეები და განკულაკებულებს აღარ ეძალებიან.

სოფლის კელებიდან კელსაყრელი საშენი მსალაა ბოსლისა და  
საწყობის შენობისათვის. აღარ დააყოვნებს. 18 მარტს (ეს რიცხვი კარგად  
ასოვთ სალვამინისოელებს) უთენია შარის რეკა ასტენეს.

<sup>1</sup> იბ. „მანათობი“, № 1

ბონდოს კოლექტივის წევრები საბჭოს ეზოში იცის, როსტომი ზარის თუქს ექაჩებოდა.

— აქა ვართ უცელანი, რისთვის ჩეკავ? — დაუძახეს როგორიცაც ამხანგებმა.

— ვახმაუროთ, რა გენალულება! — იყო პასუხი.

— კარგი, კაცო, გამისკდა ყურის ბარაბანი!

როსტომი მანც თავგამოდებით აფუფუნებდა ზარს. ბოლოს ბონდომ შეუტია: რას ჭირევულობო.

როსტომი უხმოდ მოშორიდა ზარს და ამხანაგების ჯგუფს შეუერთდა. ამ დროს ჩუტაც შემოვიდა საბჭოს ეზოში. ჩუტა კარსანძე კომედიურელი იყო. კომედიურელებმა სავალდებულოდ გაიხადეს კოლმეურნეობის წევრობა. ჩუტამ დღეს დაიგვიანა. ეს შენიშვნეს ამხანაგებმა.

როსტომმა დაიხახა თუ არა მომავალი ჩუტა, ბონდოს მივაჩდა: „ჩუტეკავ, აქა ვართო... იო თუ აქა ვართ“, — მიუთითა ჩუტაზე.

— აქა ვარ, ამხანაგო როსტომ!

— შუაღლე მშეიღობისა! — მოუხადა ჭუდი როსტომმა:

ბონდომ გამოასწორა:

— ცოტა დავავეიანდა, ამხანაგო ჩუტა, მაგრამ არაფერია... ვიცადოთ, მომავალში ალარ დაეიგვიანოთ.

რატომლაც მრავლობითი რიცხვით აღნიშნა ბონდომ ჩუტას დაგვიანება და საჩდიონის გასძხა: წავიდეთო.

სარდიონ დურგლებს ებაასებოდა. მიბრუნდა და ბონდოს ხმადაბლა უთხრა:

— კაცო, საქმიო ხელსაწყო რომ არ გვაქვს, შენობა როგორ დავიღეთ, მუშა-ხელი გავეიცდება.

ბონდომ თავი მოიქექა.

როსტომი წამოეშეველა:

— ნესტორ ჯალალანის აქვს დურგლის ხელსაწყო, შეცუთვალით და გამოგვიგზავნის.

— ნესტორი ხომ ჩევნი წევრი არ არის?

— რა ცუყოთ, რომ არ არის... უარს როგორ გაბედავს.

— არა, ამხანაგებო, რაცა გვაქვს, იმით იოლად წავიდეთ... პირვალი გავუძლოთ როგორმე და... მერმის ყველაფერი საკუთარი გვექნება.

— წავიდეთ, ამხანაგებო! — ბონდომ კოლმეურნებებს გადახედა. უცი ჩუტა ამოიღო მიზანში და თხემით ტერთამდე ჩაათვალიერა.

— როგორ მიცემერი? — შევრთა ჩუტა და უკან დაიხია.

— მოდი აქ, — დაუჭინია თითი ბონდომ.

ჩუტა მიუახლოვდა. ბონდომ მკლავშე წაავლო ხელი, გეგონებოდათ, უნდა უჩქმიოსო.

ჩუტა აქარხალდა.

— ეს რა არის, ქალო? — ცურითა და საჩვენებელი თითოთ ჭარბისა ბონდომ ჩუტას კაბის სახელო: — აბრეშუმის კაბით მობრძანის მიღებაზონები? ტუფლები რაღა უყავი?

ჩუტას ტირილი წასცდა.

— წადი, ტანისამოსი გამოიცვალე. ალარ ვნახო კოლექტურის უსაქმი-დე-შინის კაბით სამუშაოზე... დასკვნების დღეს რაღას ჩაიცვამ? პირ და მარშ!

არაენ არ მოელოდა ასეთ სისასტრიკეს ბონდოსავან. მით უფრო არ მოელოდა ჩუტა... ერთბაშად აილეწა მამის ოჯახში განებიცრებული ქა-ლი. იფიქრა: წავალ და აღარ დაებრუნდებით. და ბზრიალით გაბრუნდა. ჭიშკარს რომ მიუახლოედა, ნაბიჯს უკლი. უბათ მოტრიალდა, ამხა-ნავებთან მიირბინა და როსტომს ყურში ჩასჩურრულა: თქვენ წადით, მე ტანზეც გამოიცველი და საღურგლო ხელსაწყოსაც მოვიტან.

ბონდომ ყური მოჰკრა ჩუტას სიტყვებს. გვერდი აუქცია და უნებ-ლიც ულვაშებში ჩაიცინა: ბონდო ემაყოფილი იყო თავისი საქციელით.



ოორდანე ვაიტაცა ჭაობის ამოშრობამ. ყველაფერი ვადაავიწყდა. დი-ლიდან დაბინდებამდე დაკოტავებული დვაბს ჭაობში და ხენეშით ამოაქეს შალლა შწეანე ბელტები. კაცის ხელი დაეტყო შმორისა და ციებ-ცტელე-ბის ბუდეს. დამდგარმა ნოყომ გზა იშოვნა და არხებს შეა მოქცეული ჭონჭყო იმდენად გაბიცდა, რომ ზედ გავლა შეიძლება. იხვები დადლა-ნით იქლებენ იქაურიბას. ოორდანე პარაზიტ ლელისკენ ერეუბა შათ. ხან-დახან ბრაზი მოსდის და მარინეს ხათირი, თორემ კურტუმ-ვალმიბრუნე-ბული იხვები დანას ერ ასცდებიან.

მარინე გრძნობს ამას. მთელი დღე „ოქში, ოქშის“ ძახილში აღამებს...

18 მარტს დაილით იორდანე ჭაობში მუშაობდა, ზარის ხმა რომ შე-მოესმა. ბარი დაასო. სხენად ვადაიქცა.

ზარის გუგუნი მატულობდა.

„ნუთუ დღესაც კრება ექნებათ? — ვითოვიქრა იორდანემ. — ჩამო-წვევს რომ არ ჩამოუელია“.

— წავიდე, დედაკაცო? — ხმამაღლა მიმართა იორდანემ ცოლს.

მარინეს თხხი ექირა ხელში და არხიდან ამოღებულ ტლაპოს ასწო-რებდა. იორდანეს შეკითხვა ეუწნაურა. ქინაქინით ყურები ჭეონდა და-ბუგული. ზარის რეკა არ ვაუგონია.

— სად მიხვალ?

— რეკა არ გესმის?

— ჰო! — გამოაცეთა მარინემ, თოთქო მართლა ვაეგონოს ზარის ხმა. — იქნება კრება აქეთ რაიმე, ახალ ამბავსაც ქე შეიტყობდი. გაუკეთ, თუ არ ვეზარება.

— ტყვილა რომ მოეცდე? — შეკოყმანდა იორდანე.

— მუხლებს გეიმართავ. არაფერი არ გიჭირს...

ოთრდანემ სამუშაო მიატოვა, ტანისამოსი გამოიცვალა და ხაბუსკენ გამწირდა.

საბჭოში არაეინ არ დაუხედა. არც ზარს ეხევეოდნენ ტელეწერებზე წერან-დებურად.

ოთრდანემ თავმჯდომარის ოთახში შეიხედა. არაეინ არ იყო. სამეიოთხელოში შევიდა. არც იქ იყო ვინმე. მოგვიანებით საბჭოს დარაჯი გამოჩნდა ეზოში. თუნგი გაეცსო და მოჰქონდა.

ოთრდანე პარმალზე გამოვიდა. ვაზეთიც თან გამოიტანა.

დარაჯემა პარმალი მორწყო... ცოცხა აიღო და დაგვას შეუდგა.

— გამარჯობა, ბიძი! მთავრობა ჯერ არ მოსულა?

— იყო და წავიდა, — უკმერხად უპასუხა დარაჯმა, იორდანესათვის არც კი შეუხედავს.

— სად წავიდა, შენს ვაზრდას?

დარაჯმა რეინისგზისკენ ვაიშვირა ხელი. შებრუნდა და ცოცხი მოიწია.

ოთრდანემ ეკრაფერი ვერ გაიგო, მაგრამ სიტყვა აღარ შეუბრუნა. ცოტა ხანს უკან ისევ შეეკითხა:

— დაბრუნდება, თუ იცი?

— რა ეცი. პარტიაკომის სხდომა ხანდაპან ირ დღეს გრძელდება.

ოთრდანე ახლა მიხედა, საბჭოს თავმჯდომარე პარტიაკომში იქნება წასულიო...

ორლობებში ურმის ჭრიალი მოისმა. ისე შძიმედ ჭრიალებდა, შორიდონვე შეატყობდა კაცი, რომ ურემი გადატვირთულია.

ოთრდანემ უური სცენიტი. შარის ვაპხედა.

ურემი საბჭოს ეზოს მიუახლოედა, ვზა გადაყელა და ოვალუწვდენ ფამირზე გავიდა.

— შენი სახელი, ბიძი?

— ვიზო!

— ვიზო... ე რა კაჩვი ფრანციული სახელი ვიშოვნია.

დარაჯმა ბლგვრით გადახედა იორდანეს, რას მექილიკებით, უნდოდა ეთქვა, მაგრამ მის ვაღარას მოერიდა და დუმილი აჩინია.

— შენს ვაზრდას, ვიზო, ვისია ეგ ურემი?

— კოლექტივის.

იორდანე ჩაიგირდა. გაზეთი გადაშალა და თითქო დარაჯის მოკლე პასუხის ცრცულ ახსნა-განმარტებას დაეძებსო, მეორე და მესამე გვერდი კიდოთ-კიდემდე ჩაათვალიერა.

ბოლოს გაზეთი გვერდზე გადადო და ისევ დარაჯს მიუბრუნდა:

— ეს რა დაურღვევებია, ბიძი?

— ყლესია გადმოაქვთა... ბოსელი უნდა ააშენონ.

ვიზომ პარმალი მიატოვა. თავმჯდომარის ოთახი მორწყო და დაგვას შეუდგა. თან ჰევიდა, თანაც შეწყობილად უსტვენდა:



“ଦୁର୍ବଳାୟ, ଶମିତିଶ୍ୱେତ ପ୍ରକାଶନକୁଳରେ,  
ଜୀବନ୍ତା ଶରୀରକୁ ହିଂମରଙ୍ଗପ୍ରୟାବନ,  
ଯାଏଇବୁ ସାହଲିତ୍ୟରେ”



3611369530

ოორდანემ ყური წაუგდო. სიმღერის კილო გამოიცნობა და შეუძლია დაუქანში მღეროდნენ ამ სიმღერის ფოთის დარდიმანდი ბიჭები. ამთ-ოთხია და ფიქრებში ჩაიძირა. ხმაურობამ გამოაფხილა იორდანე. თავი ასწია, თვალები მოიკლელიმა, თითქო ეძინოა. პატარალის კიბეზე მძიმე ნაბიჯით ამოდიოდა უჩი ბერულავი. მიხრწნილ ბერიკაცს ძალლონე აღარ ემორჩილებოდა და ყავრუენშე დაყრდნობილი დიდის ვაგლაბით ინაცვ-ლებდა ფეხს. ყავრუენისა და ფეხის ხმა ოთხში შეპარულ ვაცის ბაკა-ბჟექს მოგავრონებით.

ოორდანეს გაუკეირდა უჩას დანახვა. ცნობისმოყვარეობამ აიტანა. სულს ძლიერს და იბრუნებდა მოხუცი. კიბე რომ ამოთვალია, ქრისტიანი ამოხვნება. წელში გასწორება სცადა, მავრამ თავში დასძლია და მოერალივით წაბარბაცდა თავმჯდომარის ოთახისკენ. მიიჩქაროდა ბერულავა, ეტყობოდა მოთმინება აღაზ ყოფნილა, მაგრამ ხანდაზმულს ქარებისგან დაღრეცილი ფეხები აღაზ ემორჩილებოდნენ.

କାର୍ତ୍ତାମଦ୍ର ମାନ୍ଦ୍ର ଲୁହିକିମିଶ୍ରପୁରୀ ମିର୍ବିଦା, ଗର୍ଜାଶ୍ରେ କାପ୍ରି ଉତ୍ତିକ୍ଷର୍ମଦ୍ର, କାର୍ତ୍ତାମଦ୍ରରେ ତ୍ରୟ ଅର୍ଥ, ମାନ୍ଦ୍ରାମାର୍ଯ୍ୟାଶ ତାଙ୍କୁ ଶୁଣିବାରେ ଦେଖିଲା.

ამ, მიეკიდა უჩა თავმჯდომარის ოთახის კართან. ნაბიჯს უკლო. წელში უფრთ მოიხარა. კარში ცალი თვალით შეიძლობა.

— శ్యేఖ వైసి మంత్రిగాప్యుగి బాణ, రీవే? కాల్పురు కాలి గంభీరుడు సామెగ్రీ-అంచిల్!

ଓন্টারিয়ো কলেজিয়েট এবং মাইক্রো বিল্ডিং স্কুলসিল্বাস

— ცინგლანი ლლაპი მჟყითხება, რაზე გარევილნარო... წმ. გომიერიშ  
მოვიკითხოს თქვენ. ვეღარ გიცანი, თვალს აღარ მიჩანა... — ჩახედა უჩიშ  
ავალებში იორდანე ლვამიჩავას და კრისტენით ჩმოვდა სამწილი.

— Առնելունց լավագույնից առև, արև քաշունու!

— ვერ! მა ჩეუნი ბარდობული ლეგამიჩხავს შევილი? — თითქო რაღაცას ივონებსო, დამკუნარი თითი გაიშეირა უჩამ ლეგამიჩხავს ძეველ სამოსახლოსკენ: — ბარდობა რაფა მყავს. შეიოთა ხომ ურ ვალემისოთობი?

ପାତ୍ରଙ୍କ ହେଉଥିଲା ।

— ეჭ, სადღაა ცხონებული... ოცი წელიწადია თქვენი ჭირი წაიღო! — ხმამაღლა ჩისძახა იორდანებ, რაკი წინასწარ შეატყო მოხუცს, ყურს უნდა გარეობოს.

— ୬୩ ଶ୍ରେଣିର୍ଦ୍ଦିନ... ମେଗରା... ଶ୍ରେନ କ୍ଷାପ୍ତଲୀ ନାହିଁଦାନ୍ତ ଏହି ବାର? ଉଠିବୁ ଶାର୍ଟିନାଲାଭିନ୍ଦୁଗୁଡ଼ ଶ୍ରେନ ଗଢ଼େଇ କୁର୍ରପାନ୍ତେ ଗାମିନ୍ଦୁଲା? କିମ୍ବା ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କୁଳବାର? ପ୍ରାତିନିଃଶବ୍ଦ ପ୍ରାପି ମେଘନାର୍ଥ....

უჩა წამოდგა და ჩიტებიცით გაშიორდა ომრდანეს. რალაცა/შურებოდა უჩა. იწყევლებოდა, მაგრამ უკბილობა ხელს უშელიდა და სორივები უგზო-უკვლოდ იქარებოდნენ.

ისევ თავმჯდომარის ოთახში შევიდა. ყავარებენს სარტყების ტრანსპორტის დარაჯს შეეკითხა: თავმჯდომარე როდის მობრძანდებარ.

— შენ გეკითხები, წიე! — გაუმეორა უჩამ, როცა პასუხი ვერ გაივინა.

— არ მოვა, ბაბუა, არა, — ყურაში ჩასძახა დარაჯმა და თავის საქმეს დაუბრუნდა.

— ჯოვონხეთში წასულა! — წაიჩინუჩიფა გულგასიებულმა და ბაკუნით გაიარა მოვრძოთ პარმალი.

კიბესთან რომ მიაღწია, შეჩერდა. დიდხანს იდგა გაშეშებული. ნიკაპი უკანებულებდა მხოლოდ. მერე ერთბაშად მიბრუნდა და ისევ თავმჯდომარის ოთახს მიადგა.

— ეკლესის ენი ანგრეჭს, წიე? თავმჯდომარემ დააღვინა დანგრევა?

— არ ვიცი, ბაბუ, ალბათ, დააღვინა.

უტრიდა წითხითი დარაჯს და ჩამდენიმე წუთს სული ვერ მოიბრუნდა.

— ჩას ფრუტუნობ, აჯილის გაკეთებული! შენისთანების ხელწამისაკრავი გახდა წმ. ვიორგის ეკლესია? დაგლოხეროთ მისმა ძალა-დიდებამ! — მიაფუროთხა უჩამ ქეთქითებულ დარაჯს და უკან გაბრუნდა.

წაფერდებული მიდიოდა უჩა. თვალებს ხშირად ხუჭადა, თითქოს მზის შექმნ ერთდებათ. ეზოში რომ ჩავიდა, შებლი მოიჩიდათ (ციშკარს თუ დაექმებდა). კარგა ხანს ათვალიერი ეზო. რამდენჯერმე მიბრუნდ-მობრუნდა, ჩალაც წაიმურტუნა და ჭიშკრისკენ წავიდა.

საბჭოს ეზოს ეკლესის ნანგრევებით დატეირთული ურმები მიუაძლოვნენ. წინა ურმებს როსტომი უჯდა. „ჯვარტუმა“ დაეყირავებინა და ცალი ხელით იმაგრებდა, არ გადავარდეს.

უჩა დატეირთულ ურმებს შეეფეთა. შედგა. თვალები მოწუხა და წანა მეურმეს მიაჩერდა.

— აში, ნიკორა! — განგებ ხმამაღლა შეუძახა როსტომმა ისედაც ვავეშებულ ხარებს.

უჩა შეა შარაზე გაჩერდა. შუბლზე ხელს ძლივს იმაგრებდა. მეურმე მაინც ვერ იცნო.

— ეზა, მომე, ბაბუ! — დასკუივლა როსტომმა მიახლოებასამ.

— მეიცა, შენს გაზრდას, — აფუსფუსდა უჩა, მაგრამ განზე დადგომა ვერ მოახერხა და ურმისკენ წაბარბაცდა.

როსტომმა ურმები დააყენა. ხელი ასწია და უკან მომავალი შეურმებიც ვააფრთხილა: შეჩერდითო.

— ეზას ვერ ხედავ, ბაბუ? — მევაზე მიაძახა მოხუცს. როსტომის ხმაში წყრომაც ისმოდა, შიშიც და მოკრძალებაც.

— ვინ ხარ, შეიღო? — აჩიტებიფდა უჩა. ურემს მიაღდა. ჩალდებულა-ექტონო. ფიცრები შეათვალთვალა. — რა დაგინგრევიათ, შეიღო?

ხელი მოადათურა. აყირავებულ ჯვარცმას ირიბად ამხედა. მონუ-ხულივით მიაშტრებდა. ნიკაპი ჩამოვარდა, უქბილო ნუნები ჭამისუმზა...  
— ამას რას ვხედავ!.. ამას რას ვხედავ!.. იქსო მაცხოვერის! — დაიგ-მინა უჩიმ და, თითქო ლოდი დაეცაო, უგრძნობლად გაიშელართა მი-წაზე.

როსტომშა იყალრა ურმიდან გადმოხტომა. გაფითხებული მივიწდა მოხუცს და მისი ფეხზე წამოყენება სცადა. მოხუცი არ ემორჩილებოდა... წამიც და უჩა გალურებდა. როსტომშა თვალებში ჩახედა მოხუცს. მაჯა გაუსინჯა... გულზე ყური დააღო და სასოწარკვეთით დაიყეირა: მიშვე-ლეთო.

უჩიმ გაიზმორა, გამიმორებისას ნიკაპი აუკანეალდა მხოლოდ... ნიკა-პიც გაქვავდა და ახლა ჩაშვებული რუჩები შეირჩნენ დამძლარი წურმე-ლებივით.

— მიშველეთ! — კვლავ დაიღრიალა როსტომშა და სანამ მეურმეები მიიჩნენდნენ, მოხუცი ხელში გაუციედა.

\* \* \*

ხშაურობაზე მეურმეები მოცეივდნენ. იორდანესაც ჩაეწეოთა კურში როსტომის სასოწარკვეთილი ხმა. იაზრა, რაღაც ამბავია და დარაჯს მიაძიხა, წყალი მიაშველეო. გიზო თუნგით გაექანა შემთხვევის აღვილის-კენ. მირბენისონავე მოხუცს წყალი გადაასხა თავზე, მაგრამ მოხუცი ისედაც ლოდივით ციფი იყო.

იორდანემ შორიდანვე იგრძნო, მოხუცი მომკვდარია, ყაბალაში მო-იხადა და გულხელდაქრეფილი დაღვა ცხედრის მახლობლად.

— რა ცოდვამ ააბილდიალა ამ დილაადრიან? — წაიბურტყუნა თვის-თვის.

როსტომი გაფითხებული იდგა. ბონდო აქაშინებული მოვარდა. და-ინახა თუ არა ფერწმისული როსტომი, წყრომით ჰეითხა: რა მოვიციდაო. მას მოეჩედენა, თითქო როსტომი იყო მიზეზი უჩას უცარი გარდაცვა-ლებისა.

— ურემი დააჯვახე?

— არა, კაცო, ხატუ შეხედა და წაიქცა. დაძახება ველარ მოვასწარი, ჩამაკვდა ხელში...

როსტომშა თვალი მოაჩიდა ცხედარის.

ხატის ფიცრები გაშალეს და ცხედარი ზედ დაასვენეს. ხატის ფიცრები გაშენდნენ საიდანლაც, მაგრამ შეც-ხადება ცერავინ ვერ მოახერხა.

ხატის ფიცრები გაშალეს და ცხედარი ზედ დაასვენეს.

— ოჯახს აცნობეთ? — იქითხა ბონდომ.

— ბაბაია, ეინ მომიყელა შენი თავი?.. — გაისმა პასუხად ჩრდილი ბერულავას ბოხი ხმა.

უტემ ფალავანიერი გაარღვია ხალხის რეალი და ქულმილულებილი დაცხრა ცხედარს. უტრემლოდ ლრჩალებდა უტე- ზრდის მიზანის მიზანის შენდა...

— ბაბაია, გამეცი ხმა... ეინ დაგამუნჯა, ბაბაია? ეის შეშურდა შენი ცხოვრება? მითხარი, ბაბაია, ეინ წამართვა შენი თავი ასე ახალგაზრდა?

მოშორებით ვიღაცას ხმაშალდა გაეცინა.

უტემაც შენიშვნა, რომ ეს მწარე დაცინვა იყო და ენა შეუბორებიდა.

— რალა ახალგაზრდა, შე დალოცილო, მაგრა სწინის ქვა ილარ ვდია სალგამიჩაოში, — ჩაიღაპარაკა მეორემ.

მართლაც, უჩა ბერულავა უკანასკნელი უხუცესი იყო მთელს სოფელში. მოებილე აჩაენი ჰყავდა. უჩას ამით თავიც მოპქონდა და ხშირად ოტყოდა ხოლმე საუბარში: თქვენ უჩას რას ესუმრებით, ახალგაზრდობისას უტუ მიქაეს ჯარში მიმრჩოლია, შეიღსაც, მიქაეს პატივსაცემად, უტუ დავარქვიო.

უტუ არა ცხრებოდა. მოთქმა-ტირილში ხშირად ეკითხებოდა მიცეალებულს, ეინ მომიყელა შენი თავიო.

როსტომის კანკალი აუცარდა. იუიქრა: მე თუ მაბრალებს ბერულავა მამის სიკედილსო. ხალხს მოშორდა და ხის ძირას მიიუურა დამტრითხალი ქათამიგით. მოსახვევში თმაგაწეწილი დედაკაცი გამოიჩნდა. დაინახა თუ არა თავშეურილო ხალხი, იტაცა თმებში ხელი და ციფი ხმით იყიდა. სანამ ცხედარს მიუახლოედებოდა, ლოკები დაიკაწრა, თმის კიკინა ჩამოიყლიჯა, დააცხრა ცხედარს და მანამ იჩხაელა, სანამ კაბის ზონარი არ ვაუწყდა.

უტემ თავი მოიწონა: რა კარგი მოტირალი ცოლი მყავსო. თვითონაც ხმა მისცა და ძეამდე დაჩუმებული სოფლის დედაკაცებიც იყოთლია.

— დამენგრა ოჯახი, დამენგრა, ბაბაია, შენი აშენებული იჯახი! — ღმულდა უტუ.

— ჩემო ბატონო, ჩემო ტყბილო და შექარი, დიდო ბატონო! — მოთქმამდა უტუს ცოლი.

უტემ ტირილო მოათავა. ხალხში შეერთა და გამომწვევი ხმით პეითხო ბონდოს: ეინ მოპქლა, ბონდო, მამაჩემიო.

— შარზე ხარ? — ვიღარ მოითმინა ყოველთვის დინჯმა და აუჩქანებელმა ბონდომ.

— იჯახს მინგრევთ და მამაც მომიყალით?

— შარი არ გავივა, უტუ! — უტუს გასავონად სოქვა სარდიონ კოვლაძემ....

— ვნახოთ! — დააკანტურა თავი უტემ და თავისიანებს მიმართა, გასვენებაზე მიშველეთო.

ცხედარი წაიღის.

ბონდომ კოლექტივის წევრები გაატრანსილა, ახლოს არ გაცემოთ. ურემს შეატა და ეკლესის ნანგრევები ყამირზე გაიტანა პატარა კოლექტივებთან დარჩენა არჩია. ბონდო დაიმარტოვა წერ-მასიმინ სა-უბარი გააძა.

სოფლის სიღრმიდან ქარს გლოვისა და ტირილის შემზარავი ხმა მოჰკონდა.

პარტრაიკომში ბიუროს სხდომა მიმდინარეობს. მოლიანი კოლექტი-  
ვიზაციის შედეგებს აჯამებენ. სოფლის საბჭოს თავმჯდომარებიც ეს-  
წრებიან სხდომას. დარბაზი ბურუსშია განვეული. პირველად რაიკომის  
მდივანმა დარტლვა წესრიცი. მას სხვებიც მიჰყენენ და საფერფლები  
რომ აღარ ეყოთ, წყლით საესე გრაფინი გადადგეს, რათა ლანგარი სა-  
ფერფლედ გამოიყენებიათ.

ზოგი საყვედლურს აცხადებს: დაეიძრჩოთო, მაგრამ საჩივარი მდივნის  
ურამდე აღარ აღწევს. ცხარე კამათი და წმოძახილები იძყორობენ სხდო-  
მის საერთო ველისყენს. მოულოდნელმა ქარაშოტმა დია ფანჯრები  
ერთმანეთს მიანარცა. მინები ლაქანით წამოვიდა ქვემოთ, მაგრამ სხდო-  
მის დაძაბულობა წამითაც არ შეწელებულია ამ უწევეულო ხმაურობის  
გამო.

რიადმასკომის თავმჯდომარე ამბობს სიტყვას. მას ხშირად აწყვეტ-  
ნებენ წამოძახილებითა და საყვედლურებით. ზარის წყარომს აღარავინ  
აღარ ეცუება. არც გაფრთხილება და დარბაზიდან გაძვების მუქარა  
მოქმედებს ზოგიერთ წრესგადასულზე.

რაიკომის ინსტრუქტორი ვაშალომიძე თავჩაქინდრული ჩის. მანქანა-  
ზე გადაბეჭდილ ქაღალდებს ფურცლავს. უბის წიგნაუში შენიშვნებს  
იწერს.

რაიადმასკომის თავმჯდომარე სალგამიჩაოს არტელს შეეხო. მიხ კა-  
სანიძე გამოკოცხლდა. ყური სკევიტა ვაშალომიძემაც.

— მეტად ხელსაყრელი პირობები აქვთ სალგამიჩაოელებს, — აღნიშ-  
ნავს პაქუ ხორავა: — ხალხი მონდომებულია. კადეც მეტი: ხალხი კომუ-  
ნის დაარსებას მოიხოვდა.

— პროცესუალი მოხოვნა იყო! — შენიშნა ვაშალომიძემ.

— აი, ამხანაგებო, — გაიშეირა ხელი ხორავამ ვაშალომიძისაკენ, —  
მე დღემდე განვებ აჩად არ დავასახელე ამხანაგი ვაშალომიძე, რომე-  
ლიც რაიკომის სახელით გამოდიოდა სასოფლო ქრებებზე კომუნის და-  
არსების წინააღმდეგ. ის ბიუროს სხდომაზეც ამასვე იმეორებს: კომუნის  
მოხოვნა პროცესუალი იყო.

— ვიმეორებ, პროცესუალი იყო. მე დავამტკიცებ ამას.

— მე აღარ მესმის, მთხოვავ გადა დაცულებრო — პარტიის არა მთხოვა ვაშალომიძეს. კომუნა ნააღრიეთა... ნებაყოფლობის გარეშე /არის/ დაარსება კონტრარევოლუციური ნაბიჯის... ვთქვათ უფლესობა ნებაყოფლობით არ შედის არც არტელში, არც კომუნაში. ტახტის მიზები კუთ? რა კუპასუხოთ პარტიის და ხელისუფლების?

— უნდა განცხადება დაცულებროთ: არ ვარგივარო და ვაგვანთავისუფლეთო, — შეინიშნა ვაშალომიძემ.

დარბაზი შეირჩა. გაცვირებულით გადახედეს ვაშალომიძეს. ზოგის ვაღაკარბებულად მოეჩენა ინსტრუქტორის ასეთი კილო. ზოგმა ასე ვაიღიქოს: ეტყობა, ზურგი მაგრა აქვთ. აქა-იქ ჩურჩულიც ასტებეს.

— ეს მართალია, მთხოვავ! — წამოეშველა ვაშალომიძეს რაიკომის მდივანი. — თუ ჩვენ არ ვარგივარო და ყოველი სიძნელის წამოჭრისას აეჩვალდებით: „როგორ მოვიქცეთ“, „ვიღულებით“, „მოგვეშველოთ“, პარტია შესძლებს პანიკორების შეცვლის ჩვენი განცხადების ვარეშეც.

ხორავა შედგა. ის არ მოელოდა რაიკომის მდივანის ასეთ რეპლიკას. ამას წინათ ხორავა პირადად ესატბრა რაიკომის მდივანს. ვაშალომიძეზეც ჩამოუტდო სიტყვა. უსაყველურია: ტაქტი არა აქვთ. მისი საქციელი სრულებით არ შეეფერება პარტიული მომუშავის საქციელსო. ისიც ჩააწერა ყურში — ვაშალომიძე რაიკომის უპირისპირდება, რაიკომის დადგენილებებს საჯაროდ აბიაბრუებს, მის აეტორიტეტს აბუჩად იგდებსო. საუბრის დროს რაიკომის მდივანს გარკვევით არაფერი არ უთვევაშ ვაშალომიძის საქციელის გამო, მაგრამ ხორავას მოეჩენა, ვაშალომიძის საქმე გათავაზულია, ერთი ასეთი შემთხვევაც და ის სამუდამოდ აირაცეს გუდა-ნაბარეს რაიკომის პარტიიდან. დღეს ვაშალომიძეს ეთანხმება რაიკომის მდივანი. რეპლიკას უწინებს, თვითონაც ქმნირება. ეს არ მოსწონს ხორავოს.

შეტევაზე ვაღასულის მაინც წაყუჩება არჩია. სიტყვის კონსერვაცია ჩაათვალიერო. მოხსენება განვეგდ შეამოელა და ასე დაასრულა: ბოურომ დღესვე უნდა გასცეს პასუხი ყველა მტკიწულ საკითხსო.

საღვამიჩიაოს საბჭოს თაემჯდომარემ ითხოვა სიტყვა. იგავით დაიწყო: ერთ ხანშიშესულ თათარს თირი ცოლი ჰყავდა: ერთი ახალგაზრდა. მეორე ჰალარი შეირეული. გათენდებოდა თუ არა, ახალგაზრდა ცოლი გამოიყანდა ქარას მზის ყურზე, გადაუწევდა თაეს და რაც ჰალარი გაიჩდა წვერ-ულვაშში, ლერა-ლერა აფლენდა. შემდევ ჰალარი ცოლი გამოიღოდა და ახლა ის, რაც შევი ბალანი ერია, იმას აცლიდა ლერა-ლერა. ცოტა ხნის შემდევ თათარი ქოსას დაამსგავსეს უცნაურშა ცოლებმათ...

აქა-იქ გიცინეს.

— სუ ზოგდის ჩვენც ამ კოლექტივის თაობაზე. მოეწევით სხალხო ყრება. გამოვიდა რაიაღმისაკომის თაემჯდომარე და ილაპარაკია — ერთიავად უნდა ჩაეწეროთ კოლექტივშით. ხალხმა კომუნა მოითხოვა.

